გაზეთი ზღვრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

60 თეთრი

№133 (1159) 25 – 27 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## იაშვილის კლინიკის ექიმი „ვერსიას" ბავშვთა ლეიკემიის საგანგაშო სტატისტიკას აწვდის



გვ.7

რატომ ხდება აუცილებელი საზღვარგარეთ მკურნალობა

## ვინ იქნება ახალი პრემიერი

რა შემთხვევაში დაინიშნება ვადამდელი არჩევნები

გვ.3



## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები სახელმწიფო უწყებებში ირღვევა

## სკანდალური ინტერვიუ „ნარკობარონ" ნუგზარ ბოქორიშვილთან



გვ.5–6

რატომ თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, რა აკავშირებს შაქრო კალაშოვთან, რას ნანობს და რაში ადანაშაულებს ახალაია-მერაბიშვილ-სააკაშვილს

## აუდიტორული კომპანია UHY AR GROUP – სანდოობის გარანტი ბაზარზე



გვ.9

რუსუდან ბარამიძე:
„საგადასახადო კოდექსში ორმაგი ინტერპრეტაციის მუხლები არ არის, უბრალოდ, ამ მუხლებს სწორად წაკითხვა სჭირდება!"

## „ლევან ბექაშვილმა ხანშიშესული მამა გამიმწარა, ასეთ კაცს ან პანღური ეკუთვნის, ან ტყვია!"

მამა-შვილი გურამ და მევლუდ კვირიკაშვილები „ვერსიას" იმ მიზეზებს უმხელენ, რის გამოც ბიზნესმენმა დეპუტატს სცემა

გვ.4



# პაატა ბურჭულაძე ფონდ „ივანანას" აღარ უხელმძღვანელებს




„საქართველოს განვითარების ფონდის" ხელმძღვანელმა პაატა ბურჭულაძემ, ფონდ „ივანანას" ხელმძღვანელობა, გურამ ახალაიას გადააბარა.

„საქართველოს განვითარების ფონდის" პრეზენტაციაზე პაატა ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ გადაწყდა — მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობას გამგეობა და ქდიტორთა საბჭო გააგრძელებს: **„რადგან „საქართველოს განვითარების ფონდი" ჩემგან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, გავაუქმე ყველა გასტროლი საზღვარგარეთ. ფონდ „ივანანას" ხელმძღვანელობა გადავეცი გურამ ახალაიას, თუმცა, ვრჩები გამგეობის წევრად და ფონდის აქტიურ მონაწილედ. რაც შეეხება ფონდ „ივერიას", უწმინდესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ მახათას მთაზე მშენებლობას გამგეობა და ქდიტორთა საბჭო გააგრძელებს. მე მთლიანად გადავერთვები „საქართველოს განვითარების ფონდში".**

რაც შეეხება უშუალოდ, „საქართველოს განვითარების ფონდს", მისი დამფუძნებლის, პაატა ბურჭულაძის განმარტებით, ფონდი არის საზოგადოებრივი ინიციატივა, რომელიც საერთო მიზნისა და საერთო იდეალების ირგვლივ გააერთიანებს ხალხს: **„საქართველოს განვითარების ფონდი" დაფუძნდა იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ადამიანების „ჩემიანებად" და „სხვისიანებად" დაყოფა. მიმაჩნია, რომ სწორედ დაყოფა იყო მთავარი დამანგრეველი ძალა ბოლო 25 წლის განმავლობაში. ამდენად, ჩვენ არ ვქმნით პოლიტიკურ ორგანიზაციას. „საქართველოს განვითარების ფონდი" არის საზოგადოებრივი ინიციატივა, რომელიც ჩვენ ყველას საერთო მიზნისა და საერთო იდეალების ირგვლივ გაგვაერთიანებს. ჩვენი ფონდი არის თავისი საქმის მცოდნე ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად იმისა, სად არის ის — სახელმწიფო სამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციასა თუ კერძო ბიზნესში. მიუხედავად იმისა, ვინ არის — ქართველი, აფხაზი, ოსი, რუსი, სომეხი, იეზიდი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, ქისტი, ბერძენი; და, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, სად ლოცულობს. ფონდი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებისთვის. ჩემი დიდი სურვილია, რომ „საქართველოს განვითარების ფონდის" ირგვლივ გაერთიანდნენ ახალგაზრდები, ვინაიდან მათი მონაწილეობის გარეშე ჩვენი ქვეყნის წინსვლა წარმოუდგენლად მიმაჩნია. ფონდი შეიქმნა ყველასთვის, ვისაც სურვილი აქვს, მიიღოს მონაწილეობა განვითარებასა და გამარჯვებაში, რადგან საქართველო ყოველი ჩვენგანის საზრუნავია".**

ბურჭულაძემ ასევე მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით აშენებს: **„იქ შესულ ყველა დედას შეეძლება თავის შვილს უთხრას: „ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად". ჩვენი სამშობლოც ამ ტაძრივით ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ. უნდა ვაშენოთ სიყვარულით და სიამაყით, რომ ერთ დღეს ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს ვუთხრათ: „ეს ქვეყანა მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად".**

*„პია"*

# „ასოცირების ხელშეკრულება ევროპის ყველა სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული



ამ დროისთვის სწორედ ბელგიის პარლამენტი იყო დარჩენილი, რომელსაც რატიფიცირება მოხდენილი არ ჰქონდა. შესაბამისად, ბელგიის პარლამენტის რატიფიცირების შემდეგ, ასოცირების ხელშეკრულება სრულად ამოქმედდა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა აღნიშნული მოვლენის შესახებ პარლამენტის წევრებს აცნობა და მიულოცა: **„დღევანდელი მდგომარეობით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება ევროპის ყველა სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული, გილოცავთ ამ მოვლენას!".**

ბელგიაში საქართველოს ელჩის და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლის განცხადებით, ბრიუსელმა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა და პროცესი მალე დასრულდება. როგორც ნატალია საბანაძემ აღნიშნა: **„ბრიუსელის ფედერალურმა პარლამენტმა უკვე დაამტკიცა რატიფიცირების დოკუმენტი. ბოლო პროცედურა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს, არის ის, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივ გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს. ამას უახლოეს რამდენიმე დღეში ველოდებით. წლის ბოლომდე მოესწრება".**

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, 2014 წლის 27 ივნისს მოაწერა ხელი. საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება 2014 წლის 18 ივლისს, ხოლო ევროპარლამენტმა ხუთი თვის თავზე, 18 დეკემბერს მოახდინა.

ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან დროებითი გამოყენების რეჟიმში მოქმედებს, სრულფასოვნად მას შემდეგ ამოქმედდება, რაც ევროკავშირის 28-ვე წევრი სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიცირებას.

*„პია"*




# სავალუტო აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა 20 000 000 დოლარი გაყიდა

2015 წლის 24 დეკემბერს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 20 000 000 აშშ დოლარი გაყიდა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.4012 შეადგინა.

*„პია"*

# ჭავჭავაძის გამზირისა და წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელ მონაკვეთზე მოძრაობა შეიზღუდება

თბილისის მერიის ინფორმაციით, გზის კაპიტალური მშენებლობის გამო, ჭავჭავაძის გამზირისა და წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება.

გზაზე შეზღუდვა 25 დეკემბერს 08:00 საათიდან 22:00 საათამდე გაგრძელდება.

როგორც დედაქალაქის მთავრობიდან იუწყებიან, აღნიშნულ მონაკვეთზე საგზაო სამუშაოებს, კომპანია „ენკო" 9 დეკემბრიდან აწარმოებს. სამუშაოების შესრულების ვადად 120 დღეა განსაზღვრული.

*„პია"*





# თბილისის ტურისტულ მიმართულებებს რუსი და ყაზახი ტუროპერატორები გაეცნენ

თბილისის ტურისტული მიმართულებების გასაცნობად დედაქალაქს ყაზახეთიდან და რუსეთიდან ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები ეწვივნენ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, სარეკლამო-გაცნობითი ტური მუნიციპალური პროგრამის „შემომყვანი ტურიზმის დარგის განვითარების" ფარგლებში „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრისა" და „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის" პარტნიორობით გაიმართა. თბილისში სარეკლამო-გაცნობითი ტურის ფარგლებში ვიზიტით მყოფი რუსული და ყაზახური ტურისტული სააგენტოები საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის" რეპეტიციას დაესწრნენ, სასტუმრო „რუმსში" კი სპეციალურად მათთვის საქართველოს სომელიეთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის შესახებ პრეზენტაცია გამართეს. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ რამდენიმე სახეობის ქართული ღვინო და ყველი.

*„პია"*




# შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი აღკვეთა

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს ხიდისთავის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ზაზა ბ. ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ნიღბიანი, ცივი იარაღითა და ხელყუმბარით შეიარაღებული ბრალდებული გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ავტოგასამართი სადგურის დაყაჩაღებას აპირებდა.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანა, „ეფ 1"-ის ტიპის ხელყუმბარა, შავი ტყავის ხელთათმანები და სამედიცინო პირბადე ამოიღო.

გამოძიება მიმდინარეობს ყაჩაღობის მომზადების (საქართველოს სსკ-ს 18-179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

*„ვერსიანიუსი"*

# შინაგან საქმეთა სამინისტრო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიას აგრძელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, ფართომასშტაბიან საინფორმაციო-შემეცნებით კამპანიას განაგრძობს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, კამპანიაში ქალაქ თბილისის საჯარო სკოლებიც ჩაერთო. შსს-ს წარმომადგენლებმა მოსწავლეებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდეს და აღნიშნულ თემაზე დამზადებული საინფორმაციო სტიკერები დაურიგეს. კამპანიის მიზანია ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის ღონისძიებაა დაგეგმილი.

*„ვერსიანიუსი"*

# რუსეთი მზად არის, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ რუსეთი მზად არის, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს, თუმცა საქართველო გარკვეულ პირობებს აყენებს.

კარასინი აღნიშნავს, რომ ურთიერთობების აღდგენისთვის საქართველო რუსეთისგან ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარების გაუქმებას ითხოვს: **„დიპლომატიური ურთიერთობები საქართველომ 2008 წელს გაწყვიტა, მას შემდეგ, რაც სამხედრო აგრესია განახორციელა სამხრეთ ოსეთში. რუსეთის ფედერაციამ აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის გადაწყვეტილება. ჩვენ ამ რეჟიმში ვცხოვრობთ. ინიციატივა საქართველოს წინა ხელისუფლებას ეკუთვნის. რაც შეგვეხება ჩვენ, მზად ვართ ურთიერთობების აღდგენისთვის, მაგრამ საქართველო პირობას აყენებს, რომ რუსეთმა დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება გააუქმოს".**

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში სავიზო პროცედურები 23 დეკემბრიდან გამარტივდა.

*„პია"*

# ახალი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი იქნება?



## რა შემთხვევაში დაინიშნება ვადამდელი არჩევნები და რა როლი აქვს ამ პროცესში პრეზიდენტს

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

**23 დეკემბერს საღამოს დანიშნულ სპეციალურ ბრიფინგზე, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადადგომის შესახებ ამგვარად გვამცნო: „ჩვენს მიერ გატარებული მასშტაბური რეფორმებითა და უპრეცედენტო სამთავრობო პროგრამებით, ჩვენ შევქმენით მყარი საფუძვლები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. ჩვენ ასევე მივაღწიეთ ისტორიულ შედეგებს – გავაფორმეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და დავიწყეთ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა. მივიღეთ თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე ჩვენი მოქალაქეებისთვის, რითაც უკვე შეუქცევადი გახდა ჩვენი ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული ფუნქციის აღდგენაზე – საქართველო აქტიურად ჩაერთო აბრეშუმის გზის პროექტში და რეალურად დამაკავშირებელი ხიდი ხდება ევროპასა და აზიას შორის... თანამდებობები არის დროებითი, მარადიული არის უფალი და სამშობლო. დღეს მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ახლა, როცა გამყარებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების საშინაო და საგარეო მიმართულებები, მინდა, ვუსურვო წარმატება ჩვენს მომავალ პრემიერ-მინისტრს“.**

წლის ბოლოს და საარჩევნო წლის დასაწყისში ქვეყნის მეორე პირის პოლიტიკიდან წასვლამ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ინსინუაციები გამოიწვია. სად და რატომ წავიდა ირაკლი ღარიბაშვილი, ვინ იქნება მისი შემცვლელი და გამოიწვევს თუ არა ეს მოვლენები ვადამდელ არჩევნებს — ეს ის სამი ყველაზე აქტუალური კითხვაა, რომელსაც მინიმუმ, ერთი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა მედიასაშუალება არაერთხელ დასვამს. ამ კითხვებზე კულუარული პასუხები უკვე არსებობს, მათ შორის, ღარიბაშვილის მიერ პოსტის დატოვებას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გადაწყვეტილებასაც უკავშირებენ, თუმცა ვიდრე საზოგადოების ნაწილი განხეთქილების მიზეზების ძიებითაა დაკავებული, ორივე ექსპრემიერი კამერების წინ, ერთი მანქანით, გვერდიგვერდ ჩნდება. გავრცელდა ვერსიაც, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა საარჩევნო შტაბისა და შემდეგ უკვე პარტიული სიის პირველნომრობის გამო დატოვა, იმის მიუხედავად, რომ თანაკოალიციელი რესპუბლიკელები მას ამ როლში ვერ ხედავენ. თუმცა არც ის ინფორმაცია დამალულა, რომ ღარიბაშვილის მიერ პოსტის დატოვების შესახებ ბოლო წუთამდე საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობამაც არაფერი იცოდა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის გარდა, რომელმაც, თავის მხრივ, შეფასებებისგან თავი შეიკავა და ახალი პრემიერის არჩევის მხოლოდ ტექნიკური მხარე განმარტა. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრი თანამდებობას დატოვებს, უფლებამოსილება, ავტომატურად, ყველა მინისტრს უწყდება და ისინი მინისტრის მოვალეობის შემსრულებლები ხდებიან. თავის მხრივ, პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი ბრძანებას, რომ მინისტრების მოვალეობას იგივე კაბინეტი შეასრულებს, უცვლელი შემადგენლობით. თუმცა, ეს პოსტზე ყოფნის მხოლოდ ერთკვირიანი გარანტიაა. პრემიერის გადადგომის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა, უმრავლესობასთან ერთად, ახალი პრემიერის კანდიდატურაზე უნდა იმსჯელოს და მაქსიმუმ 7 დღეში, ახალი კანდიდატი უნდა დასახელდეს. შემდეგი ნაბიჯი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ მინისტრობის კანდიდატების სიისა და სამთავრობო პროგრამის ფორმულირებაა. ამ ყველაფრის მერე კი პარლამენტში მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურა იწყება. ახალ სამთავრობო გუნდს პარლამენტის ნდობის მისაღებად პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის, ანუ 75 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება, რომელიც „ოცნებას“ ჰყავს. ამიტომ დიდი ალბათობით, ახალი კაბინეტი და პრემიერის კანდიდატურა პირველივე ცდაზე უპრობლემოდ დამტკიცდება. ხოლო თუ მთავრობის შემადგენლობამ ნდობა ვერ მიიღო, მაშინ პარლამენტში წარდგენიდან 30 დღის ვადაში, განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება მთავრობის თავდაპირველი, ან განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი სამჯერ ვერ დაამტკიცებს ახალ მთავრობას, ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება. თუმცა, სავარაუდოდ, მოვლენათა ასეთი განვითარებისგან ძალიან შორს ვართ, თუკი ეს თავად უმრავლესობის, პრემიერისა და ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში არ შედის.

ასეთ შემთხვევაში, როგორც კონსტიტუციონალისტები საუბრობენ, „ოცნების“ უმრავლესობას შეუძლია, ორჯერ ზედიზედ ჩააგდოს ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი და მესამე ცდაზე, საპარლამენტო უმცირესობას და სხვა ჯგუფებს არ მისცეს ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საშუალება. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია, დაითხოვოს პარლამენტი და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს. თუმცა ვერსია, რომ უმრავლესობა პრეზიდენტს არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე პარლამენტს დაათხოვინებს, საკმაოდ არარეალურად ჟღერს.

რაც შეეხება პოლიტიკურ კულუარებს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა სახელდება. მათ შორის ყველაზე რეალური კი საგარეო საქმეთა მინისტრის ახლა უკვე მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კვირიკაშვილია. მეტიც, იმაზეც საუბრობენ, ვინ ჩაანაცვლებს კვირიკაშვილს საგარეო საქმეთა უწყებაში — ეს მისი პირველი მოადგილე, მიხეილ ჯანელიძე იქნება. ყველაზე მეტი ცვლილება კი, კულუარული ინფორმაციით, ეკონომიკურ გუნდში იგეგმება, სადაც ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის პოსტს ეკონომიკის მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებს. ვრცელდება ინფორმაციაც, რომ ახალ მინისტრთა კაბინეტში განათლების მინისტრი, თამარ სანიკიძე და შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ველარ მოხვდებიან. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ზვიად კვაჭანტირაძე აცხადებს, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, მათ შორის, კვირიკაშვილიც, ჯანდაცვის მინისტრი სერგეენკოცა და დიმიტრი ქუმსიშვილიც. გია ვოლსკისა და „ოცნების“ სხვა ლიდერების განცხადებით კი, უმრავლესობა შიდაკოალიციურ მოლაპარაკებებს 25 დეკემბრიდან აქტიურად დაიწყებს და ახალი წლის დადგომამდე, ახალი პრემიერის კანდიდატურასაც წარადგენს.

## მსოფლიო მედია ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერის – ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას აფასებს




საერთაშორისო მედია საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადადგომას გამოეხმაურა. სააგენტო „ფრანს პრესი“ წერს, რომ საქართველოს მთავრობის მეთაური — 33 წლის ირაკლი ღარიბაშვილი, ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი იყო.

**„ის უცნობი პოლიტიკური ფიგურა იყო, სანამ მისმა წინამორბედმა, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ის 2012 წლის ოქტომბერში შინაგან საქმეთა მინისტრად არ დაასახელა“,** — წერს სააგენტო და აღნიშნავს, რომ თანამდებობის დაკავებამდე იგი 10 წლის განმავლობაში ივანიშვილთან მუშაობდა, რომელიც მას „თავის საყვარელ ბიჭს“ უწოდებდა.

გავლენიანი გამოცემა Economic Times წერს, რომ „რეფორმისტი ექსპრეზიდენტის“ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოში ეკონომიკური ბუმი იყო, „ქართული ოცნების“ სამწლიანი მმართველობის დროს კი ქვეყანას ეკონომიკური ზრდის შენელება, მზარდი ინფლაცია და ეროვნული ვალუტის 44%-იანი დევალვაცია მოხდა.

სააგენტო „როიტერი“ ღარიბაშვილის გადადგომას „მოულოდნელ ნაბიჯს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ექსპრემიერმა ეს გადაწყვეტილება არჩევნების მოახლოების ფონზე მიიღო. ექსპერტები და ოპოზიცია მის გადაწყვეტილებას „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის 18%-მდე შემცირებას უკავშირებენ.

სააგენტო Associated Press-ის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილი მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მოკავშირეა, რომლის პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის არჩევნებში ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები დაამარცხა. სააგენტო წერს, რომ გაუარესებული ეკონომიკური სიტუაციის ფონზე, „ქართული ოცნების“ პოპულარობა შემცირდა, ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა კი გაიზარდა.

„ამერიკის ხმა“ ქართველ ექსპერტებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ღარიბაშვილი გადადგა „ქართული ოცნების“ დასახმარებლად, დაიბრუნოს დაკარგული პოპულარობა საპარლამენტო არჩევნების წინ.

Financial Times წერს, რომ ბოლო დღეებში საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია გამარჯვებებს ორივე ფრონტის მიმართულებით: ევროპულმა კომისიამ თბილისის დიდი ხნის მისწრაფებას — უვიზო რეჟიმის დაწესების იდეას მხარი დაუჭირა, რუსეთმა კი საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გაამარტივა.

**„მიუხედავად ამისა, ხელისუფლების პოპულარობის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, NDI-ს გამოკითხვის თანახმად, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის დონე ყველაზე დაბალია მას შემდეგ, რაც ის 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა“** , — წერს გამოცემა.

ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით შეფასებები რუსეთშიც გაკეთდა. სააგენტო РБК-სთან საუბარში რუსი ექსპერტი დენის დვორნიკოვი აცხადებს, რომ მმართველმა პარტიამ საკუთარი პირობა შეასრულა ამომრჩევლის წინაშე, რომელსაც საშუალება მიეცა, ევროპის ქვეყნებში უვიზოდ იმოგზაუროს. პარალელურად, სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთმაც გაამარტივა.

**„ამ პირობებში პრემიერის გადადგომა — მმართველი ელიტის შეთანხმებული გადაწყვეტილებაა. ქვეყანა ახალ დონეზე გადის და ამისთვის მეტი გამოცდილების მქონე მმართველია საჭირო“,** — აცხადებს დვორნიკოვი. მისი მოსაზრებით, ღარიბაშვილთან მიმართებაში რაიმე სერიოზული პრეტენზია არ არსებობს, თუმცა ამჟამად ვითარება სამხრეთ კავკასიასა და მთელ მსოფლიოში არასტაბილურია, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

გამოცემა ВЗГЛЯД-თან საუბარში პოლიტოლოგი ნიკოლაი სილაევი აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკის კუთხით ეს იყო საქართველოს ყველაზე წარმატებული მთავრობა.

**„არ ვიცი, უკავშირდება თუ არა ეს ირაკლი ღარიბაშვილის ან მმართველი კოალიციის არაფორმალური ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებებს, მაგრამ პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისსა და მოსკოვს შორის ყოველთვიური სკანდალები აღარ ხდება“,** — ამბობს პოლიტოლოგი.

გამოცემა Московский Комсомолец-თან საუბარში კიდევ ერთი რუსი ექსპერტი ვლადიმერ ნოვიკოვი ღარიბაშვილის გადადგომას „შიდაქართულ კოლიზიას” უწოდებს. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებაზე გარკვეული გავლენა მოახდინეს ლარის დევალვაციამ და პრეზიდენტ მარგველაშვილთან კონფლიქტურმა ურთიერთობამ, რაც მმართველი კოალიციის რეიტინგზე აისახა.

ჟურნალისტის კითხვაზე, არის თუ არა ივანიშვილი პრორუსი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, ექსპერტი ნოვიკოვი აცხადებს, რომ რუსეთში მუშაობის პერიოდშიც კი, **„ივანიშვილი ყოველთვის იყო ჯერ ქართველი და შემდეგ რუსეთის მოქალაქე და რუსი ბიზნესმენი“.**

**„უდავოა, რომ ის საკუთარ თავს ქართველ პოლიტიკოსად მიიჩნევს. ამიტომ რუსეთისადმი მის ლოიალობაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა“,** — აცხადებს ნოვიკოვი და იქვე დასძენს, რომ ივანიშვილი კვლავ რჩება ევროინტეგრაციის მომხრედ.

# „ლევან ბეჟაშვილმა ხანშიშესული მამა გამიმწარა. ასეთ კაცს ან პანღური ეკუთვნის, ან ტყვია!“

## მამა-შვილი გურამ და მევლუდ კვირიკაშვილები „ვერსიას“ იმ მიზეზებს უმხელენ, რის გამოც ბიზნესმენმა დეპუტატს სცემა



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**21 დეკემბერს, თბილისის აეროპორტში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, „ვერსია“ ბიზნესმენ გურამ კვირიკაშვილს დაუკავშირდა. მაშინ ბიზნესმენმა მცირე კომენტარისგან თავი შეიკავა, მაგრამ ვრცელ ინტერვიუზე დაგვთანხმდა. დაპირებისამებრ, „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს სამშენებლო კომპანია „არ დი აის“ დამფუძნებელ გურამ კვირიკაშვილთან, რომელიც უმცირესობის დეპუტატ, ლევან ბეჟაშვილზე თავდასხმის დეტალებს ექსკლუზიურად გვიმხელს.**

**— ბატონო გურამ, კიევი-თბილისის რეისზე ისე იმგზავრეთ, უკმაყოფილება არ გამოგიხატავთ, თბილისის აეროპორტში რა მოხდა, უკნიდან რატომ მიეპარეთ ლევან ბეჟაშვილს?**

— ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას საერთოდ არ ვაპირებდი, მაგრამ როდესაც თქვენს გაზეთში ლევან ბეჟაშვილის ინტერვიუ წავიკითხე, „ბლატაობის“ ახალი ფორმა და „ვაჟკაცური თემების“ წამოწევის მცდელობა დავინახე. ამიტომ გადავწყვიტე პასუხის გაცემა. დიახ, ერთად ვიმგზავრეთ და სამი საათის განმავლობაში ვცდილობდი, თავი შემეკავებინა, მაგრამ ემოცია ვერ მოვთოკე. რაც შეეხება უკნიდან მიპარვას, პანჩური ამოვარტყი, მაგრამ ზურგში კი არა, ცოტა ქვემოთ. საერთოდ, ხელის გარტყმაზე პრეტენზია კაცებს აქვთ, ათი ხელი რომ მქონოდა, ლევან ბეჟაშვილს ერთსაც არ დავარტყამდი, რადგან ხანშიშესული მამა გამიმწარა და ჩემი დაჭერით ემუქრებოდა. ასეთ კაცს კი ან პანჩური ეკუთვნის, ან ტყვია!

**— პოლიციამ თქვენ და თქვენი სიძე დაგაკავათ?**

— ასე იყო... სიძესთან ერთად ვმგზავრობდი, მაგრამ ის ამ ინციდენტში არ მონაწილეობდა, უბრალოდ, შეხლა-შემოხლის დროს, მაშველებდა, ამას თავდასხმად რომ აფასებს, ეს წმინდა ნაციონალური მეთოდია. ღმერთი არ გაუწყრეთ და ჩემი ოჯახის წევრზე ისევ რამე არ იფიქროს, თორემ მისი ეს მესიჯი ჩემთვის გასაგებია.

**— ლევან ბეჟაშვილის თხოვნით გაგათავისუფლათ პოლიციამ?**

— არ ვიცი, ვისი თხოვნით გაგვიშვეს, მაგრამ 12 საათი გავატარეთ პოლიციაში და ხელწერილების საფუძველზე გაგვათავისუფლეს. შესაძლოა, საჯაროდ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ემოციურად თავი ვერ შევიკავე. თუ სასჯელს ვიმსახურებ, მზად ვარ, კანონის მთელი სიმკაცრით ვაგო პასუხი.

**— ლევან ბეჟაშვილი ამბობს, რომ არ გიცნობთ და თავიდან ვერც კი გაგიხსენათ...**

— დიახ, ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ სახელითა და გვარით უნდა გავეხსენებინე და შესაბამისად, არც უნდა ეკითხა, რატომ მოხდა ინციდენტი. ბეჟაშვილი იმასაც გეუბნებათ, კმაყოფილი ვარ, მეც დავარტყიო. კაცს თუ რამის გაკეთება უნდა, გაზეთის საშუალებით არ „ბლატაობს!“ მეც კმაყოფილი ვარ, მაგრამ მისი მხრიდან, ეს იაფფასიანი მუქარა იყო. ნაციონალებს ჰგონიათ, რომ ის ხელმეორე შიში, რომელიც ბესო ხარძიანისა და იური ვაზაგაშვილის მკვლელობით დანერგეს, ისევ მუშაობს. შეიძლება, ეს ნაწილობრივ სიმართლეა, მაგრამ კარგად გაიგონ, რომ არავის ეშინია მათი ჯავშანჟილეტების, რადგან სპეცრაზმელების საშუალებით, სწორედ ისინი იყვნენ ძლიერები!

**— ბეჟაშვილი იმასაც აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა გქონდათ, რადგან თქვენი კომპანია ბევრ სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობდა და იმარჯვებდა კიდეც. რა ურთიერთობა გქონდათ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებთან?**

— წინა ხელისუფლებასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა. 2004 წელს, რუსეთში, აწყობილი ბიზნესი დავტოვე და საქართველოში ჩამოვედი იმედით, რომ აქ ბევრი კარგი პროექტი იწყებოდა. ალბათ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი... 2005 წლიდან ფინანსური პოლიციის წნეხი და შემოტევა ვიგრძენი. ეს პერიოდი ყველა ბიზნესმენს კარგად ახსოვს. ეკონომიკური დანაშაულის გამო, ხუთწლიანი პირობითი სასჯელი შემიფარდეს. მაშინ, ბიზნესმენი ბიზნესმენად არ ითვლებოდა, თუ პირობითი არ ჰქონდა! ამ ქვეყნის აღმშენებლობაში საკმაოდ დიდი წვლილი მიმიძღვის. ნაციონალები მხოლოდ ლენტებს ჭრიდნენ, თორემ ნახევარი საქართველო ჩემი აშენებულია. როცა ამბობენ, ნაციონალების დროს არაფერი გაკეთებულაო, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებზე მეტად, გული მე მტკივა. 2010 წლიდან ვითარება გართულდა. ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ არც ხელისუფლების წნეხი დამკლებია, არც შანტაჟი და არც მუქარა! ბეჟაშვილი რომ გეუბნებათ, გურამ კვირიკაშვილს ჩვენს ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ახლა თავის გადარჩენას ცდილობსო, ტყუილია! თავის გადასარჩენი არაფერი მჭირს, რადგან ყველა ურთულეს ობიექტს სწრაფად და კარგად ვაშენებდი. თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრზე ვაგებ პასუხს. კითხვაზე კი, რა მიზეზით მაშანტაჟებდა წინა ხელისუფლება, პასუხი, ალბათ, ზურაბ ადეიშვილს აქვს. რაც შეეხება სახელმწიფო ტენდერებს, არცერთში ვმონაწილეობდი. ყველა ობიექტი, პრეზიდენტის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით შევიძინე. რთულ სამუშაოებს ვასრულებდი. 2008 წლის 9 აგვისტოს, კოპიტნარის ავიაბაზა ჩემმა კომპანიამ ააშენა... ჩვენი აშენებულია ქუთაისის, ვაზიანის, ვაშლიჯვრის სამხედრო ბაზები... 2010 წელს, მორიგი პრობლემა პროკურატურიდან დაიწყო, რადგან გაურკვეველი მიზეზით, ჩემი ოთხი თანამშრომელი დააკავეს. მათი გათავისუფლების სანაცვლოდ, სახელმწიფოს ყვარლის სპორტის სასახლე და რამდენიმე ობიექტი ვაჩუქე. 2011 წელს კი, იმდენად მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდი, საქართველოდან წავედი. დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. მამაჩემი დაიბარეს პროკურატურაში. სისულელეზე მოაწერინეს ხელი, თითქოს მის კომპანიას არავითარი შეხება არ ჰქონდა ჩემთან და ჩემს კომპანიასთან... ამ ფონზე, იძულებული გავხდი, 2012 წლის მაისში, დავბრუნებულიყავი.

**— თუ წინა ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობა არ გაგიწევიათ, რატომ გაშანტაჟებდნენ?**

— ჩემი და სხვა ბიზნესმენების ყველაზე დიდი შეცდომა, სწორედ თანხის გადახდა იყო. არ უნდა გავჩუმებულიყავი და სხვებისთვის მაგალითი უნდა მიმეცა.

**— ამით რას მოიგებდით? ციხეში ჩაგსვამდნენ და თანხას მაინც გადაგახდევინებდნენ.**

— ალბათ, მართალი ხართ, მაგრამ რაც მორალურად და ფიზიკურად დამემართა, ციხეში ჯდომა სჯობდა — სახლის ჩათვლით, ყველაფერი დავკარგე.

**— ბოლო პროექტი, რომელიც განახორციელეთ, მესტიაში, პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა იყო?**

— დიახ, მაგრამ მესტიის რეზიდენციის მშენებლობა კომერციულად მომგებიანი პროექტი არ ყოფილა. ერთ-ერთ კომპანიას გადაუხადეს ავანსი, მაგრამ სამუშაოები ვერ შეასრულა. პრობლემური ობიექტი იყო, რომელსაც ამოქაჩვა სჭირდებოდა და ადეიშვილის თხოვნით, მშენებლობა ჩემმა კომპანიამ დაიწყო. ავსტრიელი სპეციალისტი ჩამოვიყვანე, მენეჯმენტი დავალაგე და 2-3 თვეში, ცარიელ ადგილზე, რეზიდენცია ავაშენეთ. მშენებლობას, პირადად ადეიშვილი კურირებდა, თუმცა ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი, ვერა ქობალიაც ამ ობიექტზე „ცხოვრობდა“. მესტიის რეზიდენციის მშენებლობის დასრულებისთანავე, გადავწყვიტე საქართველოდან წასვლა. თანხები იყო გადასარიცხი შემსრულებლებზე, ქვეკონტრაქტორებზე, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უშუალოდ კურირებდა და ადეიშვილის სახელით მთხოვდა, სახელმწიფოსთვის 400 000 ლარი მეჩუქებინა. ამ პროექტის შემდეგ, საქართველოდან წავედი, რადგან აქ ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა.

**— როგორც დაზარალებულმა ბიზნესმენმა, პროკურატურას მიმართეთ?**

— რა თქმა უნდა და ამიტომ მინდა, პარლამენტის თავმჯდომარესაც გამოვეხმაურო, რომელმაც მომხდარი ინციდენტის შემდეგ განაცხადა, რომ არსებობს ვერბალური და ცივილური ფორმა. თუ პარლამენტის თავმჯდომარეს ჩემს ქმედებაში ასეთი ფორმები აინტერესებს, თქვენი გაზეთის საშუალებით ვეტყვი, რომ პროკურატურაში არაერთი განცხადება შევიტანე, პარლამენტსაც მივმართე, სწორედ იმ კომისიას, რომელსაც თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობდა. მხარდაჭერაც აღმითქვეს, მაგრამ ჯერჯერობით, ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

**— ანუ პროკურატურას მოკვლევა არ დაუწყია?**

— ბევრი საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს გარეშეც შეიძლებოდა. ყველაფერი ვცადე. მინდოდა, ინფრასტრუქტურულ და თავდაცვის სამინისტროს პროექტებში მიმეღო მონაწილეობა, კომისიაზეც წარვადგინე ჩემი განაცხადი. მხოლოდ იმას ვითხოვდი, ვიდრე სიმართლე არ გაირკვეოდა, სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობის უფლება მოეცათ, თუმცა უშედეგოდ. დღემდე, ჩემი კომპანიები დაყადაღებულია. 2013 წელს, თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციაში დამიბარეს, ვიფიქრე, ჩემს საქმესთან დაკავშირებით მიბარებდნენ, მაგრამ გამომიცხადეს, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე უნდა დაგკითხოთო. ვერ მივხვდი, რა შუაში ვიყავი. სინამდვილეში, აინტერესებდათ, ქუთაისის ან კოპიტნარის სამხედრო ბაზებზე, რომლებიც 2005 წელს ავაშენე, სასადილო იყო თუ არა გათვალისწინებული. არადა, ამ ბაზებს სამი-ოთხი სასადილო ჰქონდა, თუმცა გენინსპექციის წარმომადგენლებმა მითხრეს, აზომვითი სამუშაოები ჩავატარეთ და ერთ-ერთ ადგილს, კუბნახევარი ბეტონი აკლდაო. მერე კიდევ დამიბარეს და მითხრეს, რომ ერთ-ერთ ობიექტზე, გარკვეული დეფექტები აღმოაჩინეს. მოგვიანებით გავარკვიე, რომ ის ობიექტი ჩემი აშენებული არ ყოფილა.

**— ბატონო გურამ, „ნინო ბურჯანაძე — კოალიციის“ სახელით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კენჭს იყრიდით?**

— დიახ, ამ კოალიციის სახელით, დიდუბის რაიონის მაჟორიტარად ვიყრიდი კენჭს. პარტიის წევრი არ ვარ. მესამე ადგილზე გავედი და ეს ამბავი ასე დასრულდა.

**— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?**

— გამოკვეთილი არაფერია, მაგრამ ამაზე ვფიქრობ.

***

**ინციდენტი, რომელიც გურამ კვირიკაშვილსა და ლევან ბეჟაშვილს შორის, 21 დეკემბერს, თბილისის აეროპორტში მოხდა, ბიზნესმენის მამას, მევლუდ კვირიკაშვილს უკავშირდება. „ვერსიაში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, რედაქციაში მევლუდ კვირიკაშვილი გვეწვია და დეტალურად აგვიხსნა მიზეზი, რის გამოც მისმა შვილმა დეპუტატს სცემა.**

**— ბატონო მევლუდ, ლევან ბეჟაშვილთან რა პრობლემა გქონდათ?**

— „ევ ჯე ტე ჯორჯიას“ დირექტორი ვიყავი და დღესაც ამ კომპანიას ვხელმძღვანელობ, მაგრამ სამწუხაროდ, საბრუნავი თანხა აღარ გვაქვს და გაჩერებულები ვართ. ჩემი კომპანია, ძირითადად, ვიტრაჟებსა და ფასადებზე მუშაობდა. ყველაზე ნათელი მაგალითი ყოფილი სასტუმრო „აჭარის“ შენობაა, რომელიც უცხოელებთან ერთად, ჩვენ გავარემონტეთ. ამის შემდეგ მივიღეთ ტენდერში მონაწილეობა, რათა ყოფილი კონტროლის პალატის შენობის ფასადის სარემონტო სამუშაოები შეგვესრულებინა. ტენდერში გავიმარჯვეთ. სამუშაოები ახალი დაწყებული გვქონდა, როცა კონტროლის პალატაში თავმჯდომარედ ლევან ბეჟაშვილი დანიშნეს. აქედან დაიწყო ჩემზე ზეწოლა მისგან და მისი მოადგილე შოთა თარხნიშვილისგან. ბეჟაშვილი პირდაპირ მთხოვდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან, რაც ამ სამშენებლო სამუშაოებს სჭირდებოდა, 200 000 ლარი სახელმწიფოსთვის მეჩუქებინა. არადა, ამგვარი მოთხოვნის იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, რადგან სამუშაოები ჯერ დასრულებული არ იყო. ამის შემდეგ შვილის, გურამის დაჭერით დამემუქრნენ და შანტაჟსაც კი არ ერიდებოდნენ. თავიდან წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ მერე ისე დარწმუნებით მითხრეს, პროკურატურა და სასამართლო ჩვენია, სად გვიჩივლებო, სხვა გზა არ მქონდა და 200 000 ლარის სახელმწიფოსთვის ჩუქების ხელშეკრულებაზე ხელი მოვაწერე. აი, ეს იყო მიზეზი, რის გამოც გურამსა და ბეჟაშვილს შორის, აეროპორტში ინციდენტი მოხდა. მთავარი მიზეზი მე ვარ. შესაძლოა, ბეჟაშვილი გურამს სახეზე არ იცნობდა, მაგრამ ძალიან კარგად იცის, ვინ იყო და ისიც იცის, რატომ დაარტყა.

**— ბატონო ლევანი ამბობს, რომ ტენდერი, რომელზეც ახლა საუბრობთ, პრობლემური იყო და თქვენი კომპანია „ევ ჯე ტე ჯორჯია“, სამუშაოებს დაგვიანებით ასრულებდა.**

— ამას თავის წესი და კანონი აქვს! თუ მართლა ასე იყო, კომპანია რატომ არ დააჯარიმეს? იურისტი და პარლამენტის წევრი ამას როგორ ამბობს? თუ ტენდერით გათვალისწინებული ვადებს ვარღვევ, კანონის მიხედვით დამსაჯე და ჯარიმაც დამაკისრე! როგორ შეიძლება, ამის გამო კომპანიას თანხა დააკლო? იურიდიული საფუძველი რომ ჰქონოდათ, დარწმუნებული ვარ, დაგვაჯარიმებდნენ კიდეც. ვადის დარღვევა არაფერ შუაშია. მიზანი 200 000 ლარის წაღება იყო და წაიღეს კიდეც. მე და ჩემი კომპანიის თანამშრომლები სამი დღე, გაფიცულებიც კი ვიყავით, მაგრამ ბოლოს მაინც „ვაჩუქე“ სახელმწიფოს 200 000 ლარი — ვიცოდი, გურამს დაიჭერდნენ. გამოძიებამ ისიც უნდა დაადგინოს, სად წავიდა 2008-2009 წლებში, კონტროლის პალატის ფასადის სარემონტო სამუშაოებისთვის, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 200 000 ლარი? გაირკვეს, ეს თანხა ბეჟაშვილმა მიითვისა თუ არა.

**— სამართლიანობის აღდგენის მიზნით, პროკურატურას მიმართეთ?**

— დიახ, პროკურატურასაც მივმართე და სპეციალურ დეპარტამენტსაც, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა. დაკითხვაზეც დაგვიბარეს მე და ჩემი მოადგილე, ეთერ ცინცაძე. მიმაჩნია, რომ ლევან ბეჟაშვილი და მისი ყოფილი მოადგილე შოთა თარხნიშვილი, ზონდერები არიან, მათი ადგილი ციხეშია, რადგან ათეულობით ოჯახი დააწიოკეს, მათ შორის ჩვენც.

---

ვერსიანიუსი

## შსს-მ „პე-ეს-პეს“ აფთიაქის ყაჩაღობის ფაქტი გახსნა




შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ვლადიმერ მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ქუთაისში ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პეს“ აფთიაქი დააყაჩაღა. ცეცხლსასროლი იარაღით შეარაღებულმა ვლადიმერ მ-მ აფთიაქის ფარმაცევტს 500 ლარამდე თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*



# სკანდალური ინტერვიუ „ნარკობარონ“ ნუგზარ ბოჭორიშვილთან

## რატომ თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, რა აკავშირებს შაქრო კალაშოვთან, რას ნანობს და რაში ადანაშაულებს ახალაია-მერაბიშვილ-სააკაშვილს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ადამიანი, რომლის გამოც ლამის ერთთვიანი სკანდალი არ ცხრება, ცნობილი საერთაშორისო ნარკოკარტელის, თუ „კოკაინის საქმის“ მთავარი მოქმედი პირია. მთელი ეს აჟიოტაჟი სწორედ იმ განცხადებას მოჰყვა, რომ ნუგზარ ბოჭორიშვილმა ბესელია-კობახიძეს პოლიტდევნილთა სიაში შეყვანის სანაცვლოდ ფული გადაუხადა. ალეკო ელისაშვილის გულახდილობა ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მან იმ ორი ადამიანის გვარიც დაასახელა, ვინც ბოჭორიშვილის საქმის გამო „ისტერიკულ“ მესიჯებს წერდა და ეს ორი ადამიანიც ბესელია-კობახიძე აღმოჩნდა. სწორედ კობახიძე იყო ბოლო წლებში ბოჭორიშვილის ადვოკატი. „ვერსიამ“ „ნარკობარონად“ შერაცხული, რამდენჯერმე ნასამართლევი, რესპუბლიკელების ყოფილი წევრი ნუგზარ ბოჭორიშვილი ექსკლუზიურად ჩაწერა. რატომ თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, რა აკავშირებს რეალურად რესპუბლიკელებთან, როგორ ამტკიცებს, რომ „კოკაინისა“ და სხვა საქმეები მის წინააღმდეგ პოლიტიკური მოტივითაა „შეკერილი“ და რა ურთიერთობა აქვს ცნობილ ე.წ. კანონიერ ქურდ შაქრო კალაშოვთან — ნუგზარ ბოჭორიშვილი „ვერსიასთან“ ამ და სხვა საკითხებზე ესპანეთიდან საუბრობს:**

**— ბატონო ნუგზარ, უკვე განაცხადეთ, რომ თეთრი არ გადაგიხდიათ არავისთვის, არცერთ სიაში მოსახვედრად. თუმცა შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ უკვე დაასახელა ბესელია-კობახიძე, რომლებიც თქვენი საქმის განხილვას მესიჯებითაც კი აიძულებდნენ კომისიას. რას ნიშნავს ეს განცხადება?**

— ბოლო ინფორმაცია თქვენ უფრო გეცოდინებათ, მაგრამ როგორც ვიცი, ელისაშვილმა პროკურატურაში თითქოს მტკიცებულებები მიიტანა და მის ტელეფონში მესიჯები არ აღმოჩნდა.

**— საუბარია 6 მესიჯზე, რომელსაც თქვენი ყოფილი ადვოკატი ელისაშვილს სწერდა. თუ ეს მართალია და ამაზეც არაფერი იცით, გამოდის, მანანა კობახიძე თქვენგან დამოუკიდებლად მოქმედებდა?**

— მე მხოლოდ ის შემიძლია დავადასტურო, რომ არავისთვის არაფერი არც მითხოვია და არც შემითავაზებია. ვიცი, რომ ელისაშვილი თავად შედიოდა საპატიმროში ჩემს ნათესავებთან და ეუბნებოდა, ახალი მთავრობის სირცხვილია, დღემდე ციხეებში რომ სხედხართ და შეწყალება ყველაზე მოკლე გზაა გამოსასვლელადო. გამოვკითხე ჩემი ნათესავები და მითხრეს, რომ 6-7-ჯერ მივიდნენ ბატონ ქორიძესთან, რომელმაც ხან რა დოკუმენტი მიატანინა, ხან — რა, საბუთებზე არბენინა, მაგრამ ფულზე საუბარი არასდროს, არცერთ ეტაპზე, არავისგან ყოფილა.

**— მოკლედ, სკანდალი თქვენი სახელითა და ე.წ. კოკაინის საქმით დაიწყო. ალბათ, ფართო საზოგადოებამ თქვენზე სხვა არც არაფერი იცის. გვიამბეთ, რას საქმიანობდით 2010 წლამდე და რომელიმე პარტიის წევრი თუ იყავით?**

— 1986 წლიდან მოსკოვში წავედი, ნათესავებთან. იქ დავამთავრე უნივერსიტეტი, დავიწყე ალკოჰოლური სასმელების ბიზნესი, 1998 წელს კი საქართველოში დავბრუნდი. რუსეთში ჩემი ბიზნესი და ბინა გავყიდე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავიწყე რესტორნების აშენება. სიმართლე გითხრათ, საქართველოში დარჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ შვილები შემეძინა და ასე შევრჩი.

**რაც შეეხება პოლიტიკას, მისგან შორს ვიყავი, მაგრამ ექსკლუზიურად მხოლოდ თქვენ გეტყვით — ანასტასია ზაუტაშვილისა და ჩემი საერთო შვილის ნათლია ლევან ბერძენიშვილია. ნათელმირონობიდან გამომდინარე, მასთან დაახლოებული ვიყავი. ბატონ ლევანს დღესაც დიდ პატივს ვცემ, იმის მიუხედავად, რაც ჩემზე თქვეს რესპუბლიკელებმა. როცა ვაკის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, ვეხმარებოდი. დავუთმე დარბაზი სემინარებისთვის, რა თქმა უნდა, უფასოდ. ჩემი პირადი დაცვა და მანქანებიც გადავეცი ბატონ ლევანს. არ მინდა დავწვრილმანდე, მაგრამ იმ 2 თვის განმავლობაში, რაც ფალიაშვილზე საარჩევნო შტაბი ფუნქციონირებდა, საჭმელიც ჩემი რესტორნიდან მისდიოდათ. ანუ, ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგე ძალასთან დაახლოებულ პირად ვითვლებოდი.**

**— თქვენ და ბატონი ლევანი როდის და როგორ დამეგობრდით, მეგონა, გიგლა აგულაშვილთან მეგობრობდით, ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან. არაა ასე?**

— დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არ ვიცნობ ბატონ გიგლას. ბატონი ლევანის შვილი კი ჩემი უფროსი შვილის, ანას მასწავლებელი იყო 53-ე სკოლაში და იქ გადავიკვეთეთ. დავახლოვდით და როცა მეგობარ ქალთან, ზაუტაშვილთან, შვილი გამიჩნდა, ბატონი ლევანი პატარა ლიზის ნათლია გახდა.

**— პარალელურად, ნაციონალურ მოძრაობასთანაც თუ გქონდათ რაიმე კავშირი და როგორ გადაიკვეთა პირველად თქვენი გზები?**

— აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ესპანეთიდან ჩამოვფრინდი. 2008 წლის 2 სექტემბერს ფალიაშვილზე, სახლში დამადგა პოლიცია და მითხრეს, წამობრძანდით, თქვენთან გასაუბრება უნდათო.

**ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე, რომ ძალიან ადრე, შევარდნაძის დროს, რაღაც „მერსედესით“ დავდიოდი, რომელიც დაზღვეული, მერე დაკარგული და ათასჯერ გადაყიდული ყოფილა. ეს მანქანა ჩემი ბიძაშვილის საკუთრება იყო, თუმცა საჭესთან მეც ვმჯდარვარ. ამ საქმეზე არც ჩემი ბიძაშვილი დაკითხულა, არც არავინ, პირდაპირ მომვარდნენ და მითხრეს, 200 000 დოლარი გადაიხადე და გაგიშვებთო. პირველად სწორედ მაშინ მაჩვენეს ფირი, როგორ შევდივარ ბერძენიშვილის საარჩევნო შტაბში და ა.შ. გამიკვირდა, ეს რისთვის გინდოდათ, რომელი პოლიტიკოსი მე ვარ-მეთქი?**

**— ანუ, რა გამოდის, გაგაგებინეს, ბერძენიშვილის დაფინანსების გამო ისჯებიო?**

— აი, შენ ვის ეხმარებოდი, შე ასეთო და ისეთოო. ასე შემითითხნეს ეს საქმე და 200 000 მომთხოვეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მანქანა, სულ ახალიც კი, 50 000 დოლარი ღირდა და 200 000 რატომ უნდა გადამეხადა? ამ საუბარში რომ ვიყავით, ჩემი დეიდაშვილის ქმარი, ოთარ ლომინაძე მოვიდა, რომელიც ქვეყნიდან წასვლის მერე მირეკავდა და 3 მილიონ დოლარს მთხოვდა. ბატონი დათა ახალაიასგან ასეთი შეთავაზება გადმომცა: თუ შევიძენდი 10 ჯიპს და საჩუქრად გადავცემდი კუდ-ს, საქმე შეწყდებოდა. მაინც იგივე თანხა გამოგდის ამ ჯიპების ყიდვით, რასაც გთხოვენ, შეიძლება, 200 000-ზე ცოტა ნაკლებიც კი დაგიჯდეს, თან ჩვენთან იქნები, „კრიშა“ გექნება და აღარავინ შეგეხებაო. პიროვნულად ოთართან პრეტენზია არც მაქვს, რასაც უფროსები ავალებდნენ, იმას აკეთებდა. კაცმა მითხრა, ნუგზარ, ბევრი ვევაჭრე, მაგრამ ამაზე ნაკლებს არ დათანხმდნენ, თუ ამ მოთხოვნას შეასრულებ, დღესვე გახვალ, ნასამართლეობის გარეშეო. სასტიკი უარი განვაცხადე. არ მეგონა, მართლა ასე, ჩალით თუ იყო დახურული ეს ქვეყანა. ციხეში გამიშვეს. 10 დღე ვფიქრობდი, იქნებ გადაიფიქრონ-მეთქი, მაგრამ ასე რომ არ მოხდა, ადვოკატს დავურეკე და დიდი ვაჭრობითა და ვაივაგლახით 100 000 დოლარზე შეთანხმდნენ. თავიდანვე ვთქვი, პირობითს თუ მომისჯით, არ გადავიხდი-მეთქი, რადგან კარგად ვიცოდი, მეორე დღესვე რამეს იმაიმუნებდნენ და ისევ შემაბრუნებდნენ. თურმე, ნაქურდალი ნივთის შეძენა დაჯარიმებას იწვევს, ასე დამიწერეს ჯარიმად ეს 100 000 დოლარი და გამიშვეს. მახსოვს, 141 000 ლარი გამოვიდა. შევიტანე ფული, მეორე დღესვე მივედი იუსტიციის სამინისტროში და უარი ვთქვი საქართველოს მოქალაქეობაზე, რადგან ევროკავშირის პასპორტი მქონდა. ამავე დღეს, ჩემთან ის ბიჭი მოვიდა, ვინც ამ მანქანის საქმეზე მკითხავდა. წადი საქართველოდან, თორემ ისევ დაგიჭერენო. თურმე, ახალაიას ერთი ამბავი აუტეხია, ასე იაფად რატომ გაუშვითო. ავიკრიფე გუდა-ნაბადი და წავედი. ეს იყო მთელი ჩემი პოლიტიკური თავგადასავალი.

**— ამ თავგადასავლის შესახებ ბერძენიშვილმა ასე დეტალურად იცის?**

— ამის მერე იშვიათად ჩამოვდიოდი საქართველოში. ტელეფონით კი, ამ თემაზე არ მისაუბრია. აზრიც არ ჰქონდა, რადგან მახსოვს ვალერი გელაშვილის შემთხვევა. რით დაეხმარნენ რესპუბლიკელები? ჩემმა ადვოკატმა წერილი გადმომცა, სადაც დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ პარტიას აქტიურად ვეხმარებოდი და მისი წევრი ვიყავი. არც დეპუტატობა მინდოდა, უბრალოდ, ვეხმარებოდი. უფრო იმიტომ დამიჭირეს, რომ რესპუბლიკელებს ვეხმარებოდი და არა ნაციონალებს, რადგან მაშინდელი ოპოზიციისკენ უფრო მიმიწევდა გული. ამიტომ მგონია, ეს საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

**— „კოკაინის საქმეც“ პოლიტიკურად მოტივირებული იყო, თუ დათა ახალაიას თქვენზე შურისძიება 2010 წელს გაახსენდა? რა მოხდა 2010 წელს?**

— „კოკაინის საქმეში“, თურმე, 220 კილოგრამი კოკაინიდან ნაშთი 30 გრამი კოკაინი დარჩენილა და იმასაც, ჩემი სიძე მანქანით ატარებდა, ძრავაში ჰქონდა დამალული. პოლიციაში დევს კადრები, როგორ ამოიღეს კოკაინი ძრავის ზემოდან, მოწმეების ჩვენებაში კი წერია, რომ ის ძრავის ქვემოდან გამოაძრეს. ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რაღაც ნივთიერების ზემოქმედებით დადგინდა, რომ ეს ფხვნილი კოკაინი იყოო. ხოლო სტრასბურგში ჩემს მიერ გაგზავნილი საექსპერტო ბიუროდან პასუხი მოვიდა, რომ ამ ნივთიერების ზემოქმედების შედეგად, კოკაინს ვერ ამოიცნობდნენ, ამ გზით, მხოლოდ ჰეროინის ამოცნობა შეიძლებოდა.

**ამ გაყალბებული ექსპერტიზის ჩამტარებელი კი დღესაც შს სამინისტროს საექსპერტო ბიუროში მუშაობს, ხოლო გამყალბებელი პროკურორი, დღეს ქვემო ქართლის მთავარი პროკურორია. მაშინდელი პროკურატურის განყოფილების გამგე თან იძახდა, არ ვიცი, სადაა გაქცეული ბოჭორიშვილიო და მეორე ტელეფონით მირეკავდა, 3 მილიონი გადამიხადეო. დღეს ეს კაციც დაწინაურებულია. ან, როგორ შეიძლება, განაჩენში მეწეროს, რომ კოლუმბიაში არაერთხელ ვიმოგზაურე და ამ დროს, კოლუმბიიდან მოდიოდეს საბუთი, რომ იქ არც ერთხელ არ ვარ ნამყოფი?**

**— მერე, ეს ყველაფერი ხელისუფლებაში მყოფმა თქვენმა ექსადვოკატმა არ იცის?**

— გამოდის, ქალბატონი მანანა არაფერს აკეთებდა, რომ ეს ინფორმაცია თუნდაც პრემიერამდე ან ივანიშვილამდე მისულიყო. რამდენი ხანია გავიძახი, რომ „კოკაინის საქმეში“ არ დევს მტკიცებულებები. ისე, პროკურატურა ახლა უფრო გამოფხიზლდა, ჩემი დაკითხვა მოინდომეს სკაიპით.

**— დაგკითხეს უკვე?**

— არა, ჯერ შეთანხმების პროცესში არიან, დეტალები არ ვიცი. სხვა საქმეებიც წამოსწიეს.

**— აუცილებლად წამოწევდნენ, რადგან მედიაში ბევრი რამ გახმაურდა. „ვერსიას“ ექსკლუზიურად ეწერა, პროკურატურის ოფიციალურ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომ თქვენი აგარაკის ჩხრეკისას ამოღებული თანხიდან 700 000 ევროა გამქრალი. იქნებ გვითხრათ, ბოლო ბოლო, სახლიდან 2 მილიონი ევრო ამოიღეს თუ სამი და სად გაქრა 700 000 ევრო, რომელიც არსად ფიქსირდება და როგორც ადვოკატები ვარაუდობენ, სწორედ დათა ახალაიამ წაიღო?**

— რამდენი ამოიღეს, ამას, ამ წუთას, გვერდს ავუვლი, თუმცა რამდენიმე მილიონი ნამდვილად იყო. ყველას ახსოვს, რომ სააკაშვილმა მაშინვე განაცხადა, ამ ფულით პირველკლასელებს კომპიუტერებს ვუყიდიო. თუმცა გვაქვს ყველა საბუთი და ამონაწერი, რომ ეს თანხა არსად ფიქსირდება.

**ოფიციალური დოკუმენტებით, ეს თანხა 1 700 000 იყო, თუმცა აქედან მხოლოდ 100 000 შეიტანეს ბიუჯეტში, დანარჩენი კი ჰაერშია „მოტეხილი“. ამას მარტო დათა ახალაია ვერ გაბედავდა. რამდენადაც ვიცი, ეს ახალაია-მერაბიშვილი-სააკაშვილის ნახელავია. მაქვს კითხვა პროკურატურასთან — რატომ არ იძიებს ამ საქმეს?! მართლა გული მწყდებოდა მანანაზეც და სხვა ადვოკატებზეც. მეგონა, შეეძლოთ, ჩემი საქმე სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგომამდე მიეყვანათ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. თუ მანანამ ვინმეს რამე ესემესი გაუგზავნა, ამ საქმეზე რა ხდებაო, ეს მოქრთამვაა?**

მის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, საქმეს მეც მოვიკითხავდი, დავრეკავდი და გავარკვევდი, რა ხდება. თუ არ შეიძლება ასეთი საქმეების დაძვრა და რეკომენდაციების მიცემა, მაშინ უბრალო მოქალაქემ რა ქნას, ვინც არც მანანა კობახიძეს იცნობს და არც სხვა დეპუტატებს?! აქ მოქრთამვაზე არაა საუბარი.

**— „კოკაინის საქმეზე“ ერთი დეტალიც მაინტერესებს — მასში ცნობილი „კანონიერი ქურდის“, შაქრო კალაშოვის სახელი ფიგურირებს, რომელიც გურჩიანთან რეკავდა და სთხოვდა, დაგხმარებოდათ. რატომ, იცნობთ კალაშოვს და მასთან რამე ურთიერთობა გაქვთ?**

— მოგიყვებით, რა და როგორ იყო. ესპანეთში, ერთ სამტრედიისხელა ქალაქში, მარბელაში ვცხოვრობდი. როგორც მახსოვს, იმ პერიოდში, კალაშოვი დაჭერილი იყო, მერე გათავისუფლდა და ისიც ამ ქალაქში დასახლდა. იქ იაპონურ რესტორანში წილს ვფლობდი და მეწილეები რუსეთიდანაც გვყავდა. ამ რესტორანში, რამდენჯერმე, კალაშოვიც გამოჩნდა. ამ დროს, საქართველოში დაძაბული ვითარება მქონდა. რაღაც ბინძურ კადრებს მიდებდნენ, თითქოს, ანასტასიას ბავშვის მამა მე არ ვიყავი და მსგავს სიბინძურეებს ავრცელებდნენ. ჩემგან დამოუკიდებლად, ჩემთვის რამის თქმის გარეშე, კალაშოვმა მართლა დაურეკა გურჩიანს და უთხრა, ეს რა სიბინძურეებია და რა წესია, ადამიანებთან ამ მეთოდებით ბრძოლაო.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

# პატიმრები, რომლებსაც „ბალანდა“ და კამერა თავისუფლებას ურჩევნიათ

### პატიმარი №0578

ნორმალური არ უნდა იყოს კაცი, რომელიც გისოსებსმიღმა მოხვდება და იტყვის, რომ ბალანდა გემრიელია. რაც უნდა კარგი საკვები მოამზადოს ციხის ადმინისტრაციამ, თავისუფლებაზე გატეხილი პური მაინც სხვაგვარად გემრიელია. ამის მიუხედავად, გისოსებსმიღმა სხედან პატიმრები, რომლებიც არც ბალანდით არიან უკმაყოფილო, არც იმით, რომ უფასო შუქი და წყალი აქვთ და გადასახადების გადახდა არ უწევთ. ერთადერთი, რაზეც წუწუნებენ, სექსია და წელიწადში ორჯერ ეს სიამოვნებაც რომ უზრუნველყოს ადმინისტრაციამ, გარეთ ბევრი არ გავა. ამის მიზეზი კი მარტივია — სიღარიბეში გაზრდილი ბიჭები ქურდობას პატარა ასაკიდან იწყებენ, ციხეში ხვდებიან, წლების მერე გადიან, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წლით უკვე ჩამორჩნენ ცხოვრებას, მერე ისევ ქურდობა, ისევ ციხე და... ციხეში არავის უკვირს პატიმარი, რომელიც მაგალითად 40 წლისაა და გისოსებსმიღმა 20 წელი აქვს გატარებული. პერსპექტივა იმისა, რომ გარეთ გავა და ცხოვრებას ახლიდან დაიწყებს, ნულს ქვემოთ არის, რადგან მან უბრალოდ არ იცის, რა გააკეთოს. ის კი არა და, ქურდობაც არ იცის ნორმალურად, რომ რაიმე ღირებული მოიპაროს და შერჩეს. ამიტომ, ასეთებს გარეთ ორთვიანი უსაქმო ბოდიალის შემდეგ, ისევ ქურდობის და შემდეგ ისევ ციხის პერსპექტივა აქვთ.

აჭარელი იყო იმედა დ. და ეს აქცენტზეც ეტყობოდა. პრინციპში, რაღა აქცენტი, სადმე აჭარული მუსიკისთვის რომ მოეკრა ყური, მაშინვე ცეკვას იწყებდა. არ იყო ცუდი ბიჭი, მოვლილი ჰქონდა ევროპა და საქართველოში მას შემდეგ დაიჭირეს, რაც საფრანგეთიდან სუბუტექსი გამოიყოლა და თავისი „ბედნიერებისთვის“ ყლაპავდა. სასამართლომ არ დაინდო და 11 წელი ისე მისცა, ერთი არ დაფიქრებულა. ჰოდა, იხდიდა ახლა თავის 11 წელს იმედა და როცა სურვილი და ხალისი ჰქონდა, ევროპის ამბებს ჰყვებოდა. ევროპაში ანტიკვარიატის კარგ სპეციალისტად ითვლებოდა და მისი კონსულტაციები საკმაოდ ძვირი ღირდა. შემოსავლის ძირითადი ნაწილი კი კოკაინში მიდიოდა.

„ცუდია კოკაინი, საშინელებაა. რომ ამბობენ, ჰოლივუდის ვარსკვლავები კოკაინზე ზიანო, არ მიკვირს. იმიტომ არ მიკვირს, რომ მეც შევჯექი. ვერ ეშვები რა. ერთს შეიყნოსავ და მთელი დღე „მატორზე“ ხარ, „მოხოდილი“ ხარ, მაგრამ, წლების მერე, შეიძლება შეიყნოსო და ცხვირი მოგძვრეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. არადა, მარტო შეყნოსვა კი არა, აიყვანე სახლი ნაშა, დაიყარე ცოტა კოკაინი სირზე და წავიდა სექსი. ნაშა გონზე არ არის, რა ემართება, ისე ეწყება პრიხოდი, შენც პრიხოდი გაქვს და მოკლედ რა...“, — მოგონებებში იძირებოდა ხოლმე იმედა.



„შენა, ჭკვიანი კაცი ხარ და... დღეს იმედას ხომ უსმენდი?!“ — ჰკითხა ერთ საღამოს პატიმარ №0578-ს თანასაკნელმა თენგიზამ. თენგიზა იეზიდი იყო და მთელი მისი ქონება სვირინგით აჭრელებული სხეული გახლდათ.

„ვუსმენდი, მერე?!“

„რაღა მერე? მოუსმინე, სექსზე და კოკაინზე რა თქვა?!“ — უფრო გაოცდა თენგიზა.

„კარგი რა, პირველად ხომ არ მოყვა, ნოსტალგია რომ შემოაწვება ხოლმე, მაშინ ყვება. დაიკიდე რა“, — უთხრა №0578-მა და ნარზე გადაბრუნდა.

„რა შემოაწვება ხოლმე?!“ — დაიბნა თენგიზა.

№0578 მაშინვე გადმობრუნდა, თვალები მოჭუტა და...

„ახლა არ მითხრა, შენ არ შემოგაწვება ხოლმე ნოსტალგია. ქალი რომ გინდა რა, რომ გაწუხებს, რომ გესიზმრება, ვერ ხვდები, კაცო?!“ — ხუმრობის ხასიათზე დადგა №0578.

„მერე მაგას მოყოლა რად უნდა? აი, „პარაშა“ და მარჯვე ხელები... არა, მაიცა, რაც მოყვა, მართალია?!“ — ისევ ძველ ისტორიას დაუბრუნდა თენგიზა.

„ტყუილი რატომ უნდა ყოფილიყო?“ — გაოცდა №0578.

„რათა და, ჯერ ამდენი კოკაინი, მერე იმ ქალსაც ხომ უნდა ფული. მერე კიდევ, როგორ უნდა იცოდე, რამდენი უნდა დაიყარო, ეგებ „პერედოზით“ მოგიკვდეს ქალი, ამაზეც ხომ უნდა იფიქრო?!“ — კითხვები არ დაიშურა თენგომ.

„ეგ მართალია, მეც ვკითხე და თურმე როგორ აკეთებდა, იცი? პრეზერვატივში ყრიდა კოკაინს, პრეზერვატივს ნემსით ხვრეტდა და როცა ატყობდა, შეიძლებოდა „პერედოზი“ ყოფილიყო, ეგრევე ჩერდებოდა“, — „დაუკონკრეტა“ №0578-მა.

„ჰოო... ეგრე შეიძლება, თორემ მეც არ ვთქვი, როგორ ახერხებდა-მეთქი... ისე, მაგარი ქალები ეყოლებოდა, არა?!“ — ისევ ფიქრებში წავიდა თენგიზა.

„ეე, თენგიზ, მგონი ნოსტალგიის შემოტევა გეწყება და დროზე პარაშაში“, — თვალი აუკრა №0578-მა და თენგიზა თავის ნარისკენ გაიძურწა.

მეორე დღეს №0578-მა იმედა ნახა, წინა დღის ამბებს მოუყვა და საღამოს, ზონის დაკეტვამდე ერთი საათით ადრე, იმედამ მორიგი ისტორია დაიწყო.

„ავიყვანე ერთხელ ზანგი ქალი. წინა დღეს გერმანელი მყავდა და ხომ იცით, გერმანელები თეთრები არიან, ტანზე რომ დავაყარე კოკაინი, დოზას ვერ მივხვდი და ისე შევიყნოსე. ზანგი კიდევ შავია, დოზა არ შეგეშლება. დავყარე კოკაინი მუცელზე და შევიყნოსე. ჰოდა...“

„როგორ ენდობოდი? პოლიციაში რომ დაერეკათ, კაცი მუცლიდან კოკაინს ყნოსავსო, არ გეშინოდა?!“ — პირი დააღო თენგიზამ.

„ფულს ვუხდიდი და რისი უნდა შემშინებოდა? მერე ხომ იმ ფულს დაკარგავდა? ჰოდა, დავაყარე შავ მუცელზე თეთრი კოკაინი, დავახვიე ასდოლარიანი, უნდა ავიყნოსო და...“

„ასდოლარიანი რატომ? საწრუპუნო ჩხირი არ გქონდა?!“ — იდეა მიაწოდა თენგიზამ.

„საფრანგეთში საწრუპუნო ჩხირები აკრძალულია თენგიზ“, — გაუღიმა იმედამ.

„რატომ?!“ — დაინტერესდა იეზიდი.

„აი, ამან იცის და ჰკითხე“, — იმედამ №0578-ს გახედა.

„რატომ და... თურმე კლიენტებზე გაბრაზებული ოფიციანტები ცხვირში იყოფდნენ ჩხირებს და ისე დებდნენ მერე კოქტეილში. ჰოდა, კლიენტების ინტერესების დასაცავად, ადამიანის უფლებების დამცველთა ლიგამ კანონპროექტი მოამზადა და ჩხირები აიკრძალა. ჩხირი რომ გინახონ, სროკია, რა“, — სხვა ვერაფერი მოიფიქრა №0578-მა.

„მე მაქვს სახლში და რა გამოდის — საფრანგეთში რომ ვცხოვრობდე, გამსროკავდნენ?!“ — გაოცდა თენგიზა.

„რამდენი ჩხირი გაქვს?!“ — სერიოზული სახით ჰკითხა №0578-მა.

„რა ვიცი, ერთი პაჩკა, ასი ცალი ალბათ“, — დაუკონკრეტა თენგომ.

„ჰოდა, თითო ჩხირზე თითო ეპიზოდი გექნებოდა და სამუდამოს მოგცემდნენ“, — დაუთვალა №0578-მა.

„ვახ, მერე იტყვიან, ევროპა მაგარიაო. მიდი, გააგრძელე“, — შეაგულიანა იმედა თენგიზამ.

„რა გავაგრძელო, ავიყნოსე შავი მუცლიდან თეთრი კოკაინი და... უხ, წავედი მე პარაშაში, ნოსტალგია მიტევს“, — თქვა იმედამ და წამოდგა.

„უხ...“, — მეტი ვერაფერი მოახერხა თენგომ და კამერაში ავიდა, მერე, როცა ზონა დაკეტეს, ისევ №0578-ს მიუცუცქდა.

„ამდენი ქალი არ ეყოლებოდა იმედას, გვაბოლებს, ხო?!“ — ჰკითხა თანასაკნელს.

„თენგო, ვაჟკაცურად, შენ რამდენი ქალი გყავდა?!“ — კითხვა შეუბრუნა №0578-მა.

„მე 15 წლის ვიყავი, პირველად რომ დამიჭირეს და 19-ის ვიყავი, რომ გავედი. მაშინ მყავდა პირველი ქალი და ერთ თვეში დამიჭირეს. მერე კიდევ და... მოკლედ, ორი ქალი მყავდა“, — დაიმორცხვა თენგომ.

„და რამდენი წლის ხარ?!“

„41-ის გავხდი“.

„მომისმინე — შენ იმედას ყურს ნუ უგდებ, გვაბოლებს, აბა, რას შვრება?! ორ ქალზე მეტი მაგასაც არ ეყოლებოდა და... რომ გახვალ, რას აპირებ?!“ — №0578 ტირილამდე იყო მისული.

„რა ვიცი, აბა? მესამე კლასის მერე სკოლაში აღარ მივლია. არაფერი ვიცი. გარეთ კარგი საჭმელი მენატრებოდა, აქ კვირაში ერთხელ ხორცია, ორჯერ სასისკი. აქ გავსუქდი ცოტა, თორემ გარეთ ჩხირივით ვიყავი. ჰო, კიდევ შენ რომ კარაქი მაჩუქე წინა კვირაში, გარეთ სად იყო კარაქი?! არ ვიცი რას ვიზამ. ჯერ სროკი კიდევ სამი წელი მაქვს, შეწყალებას და „უდო“-ს არ დავწერ, მოვიხდი ბოლომდე და ეგებ მოვიფიქრო“, — გაუღიმა თენგიზამ.

* * *

თენგიზას ამბავი მას შემდეგ გამახსენდა, რაც რამდენიმე დღის წინ ვაგზლის მოედანზე ვნახე. ცელოფნები, კბილის ჯაგრისები, პალტოს და მანტოს საწმენდები ჰქონდა აკიდებული და ბოლო ხმაზე გაჰკიოდა: „აბა, ჯაგრისები იაფად“...

ექსკლუზივი

# სკანდალური ინტერვიუ „ნარკობარონ“ ნუგზარ ბოჭორიშვილთან

*მე-5 გვერდიდან*

**— ანუ ადასტურებთ, რომ კალაშოვმა გურჩიანს მართლა დაურეკა?**

— მე ასე ვიცი. თუმცა ამ კაცს ფიზიკურად არც ვიცნობ. არც რუსეთში და არც ესპანეთში, მასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია და ვერანაირად ვერ დამაკავშირებდნენ კალაშოვთან. ვერც მიმოწერას დამიდებდნენ, ვერც სატელეფონო ჩანაწერს, ადამიანს სახეზეც კი ვერ ვცნობ.

**— თქვენს ე.წ. კრიმინალურ ბიოგრაფიაზე სხვა დეტალებიც ვრცელდება. მაგალითად, მოსკოვში ცხოვრებისას, ბიზნესმენ გეორგ ბრილიგნის შვილი გაგიტაცებიათ და გამოსასყიდის სახით, 50 მილიონი დოლარი მოგითხოვიათ. მერე ესპანეთში გაქცეულხართ და ცოტა ხანში საქართველოში დაბრუნებულხართ, სადაც უკანონო იარაღით დაგიჭირეს და რამდენიმე თვე ციხეშიც გაგიტარებიათ. ესეც პოლიტიკური ნიშნით შეკერილი საქმეები იყო?**

— კი ბატონო, გეტყვით ყველაფერს. ბატონი ბრილინგის მამა ჩვენი ბიზნესპარტნიორი იყო. მოსკოვში ალკოჰოლური სასმელის ბიზნესი მქონდა და საქართველოდან რუსეთში სპირტი შედიოდა. მათთან რაღაც კონკრეტულ საკითხზე განხეთქილება მომივიდა, ამიტომ დავტოვე ეს ბიზნესი, წილიც გავყიდე, ბინაც მოსკოვში და წამოვედი. თუმცა როგორც ხდება ხოლმე რუსეთში, ისე მოხდა — ცნობილი სქემაა, აღგიძრავენ რამე საქმეს და სანაცვლოდ ბიზნესს დაგათმობინებენ.

**— და შვილის გატაცება რა შუაშია?**

— არ ვიცი, თუ ვინმემ ბრილინგის შვილი გაიტაცა, მე არ ვყოფილვარ. რაც შეეხება იარაღის თემას, იარაღი სოსო ალავიძემ ჩამიდო, 2000 წელს. ამას ასე პირდაპირ იმიტომ ვამბობ, რომ ჩხრეკა-ამოღებას, კანონით, ორი მოწმე უნდა დასწრებოდა. პროცესზე კი ერთი მოწმე არ გამოცხადდა, ხოლო მეორე — პოლიციელი აღმოჩნდა. მე ამ პროცესზე გავმართლდი და მერე მთელი პოლიცია დადიოდა ჩემთან იმის სათხოვნელად, ის კაცი, მეორე მოწმე, არ გაასამართლო და არ დააჭერინოო.

**— სოსო ალავიძეს რაღა უნდოდა თქვენგან?**

— რაში აწყობდა ეს ყველაფერი სოსო ალავიძეს?! ის და ჭუტა მაშინ სიგარეტის ქარხანა „სამგორს“ ფლობდნენ. მაშინ საქართველოს თურქმენეთის გაზის ვალი ჰქონდა. დღესაც იხდის საქართველო ამ ვალს. მოკლედ, ასეთი სქემა იყო — ჩაიტანდი რაღაც საქონელს თურქმენეთში, ისინი საქართველოს ვალის რაღაც ნაწილს, ვთქვათ, 2 მილიონს მოაჭრიდნენ, შენ კი საქართველოში, ბიუჯეტიდან 1 მილიონს გაძლევდნენ. ეს საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესი იყო, ჰოდა სწორედ ამ რუსული საქმის მოკერებით ჩამხსნა სქემიდან ალავიძემ, თუმცა ჭუტა ამასთან არაფერ შუაშია. სოსო ალავიძემ კი დიდი ფული გააკეთა.

**— როგორც ამბობთ, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მთელი დასტა გქონიათ და პირველის მერე, პოლიტპატიმართა მეორე სიასაც ელოდებოდით, რომელიც საერთოდ აღარ არსებობს. რატომ ვერ მოხვდით ვერცერთ სიაში?**

— როგორც კულუარულად მითხრეს, სიაში ჩემს შეყვანაზე უარი დავით უსუფაშვილმა თქვა. მე არავის ვადანაშაულებ. ადამიანურად, შეიძლება, მესმოდეს კიდეც ეს დამოკიდებულება. ყველაფერი მას მერე შეიცვლება, რაც დადგინდება, რომ ნარკოდანაშაულთან არავითარ კავშირში არ ვიყავი. მას მერე, რაც 20 წლის გავხდი, ჩემს დედ-მამას მოსკოვიდან ფულს ვუგზავნიდი, ოჯახიც მას მერე შევქმენი, რაც ფინანსურად ფეხზე დავდექი. ბატონი ბიძინასავით მილიარდები ვერ ვიშოვე, მაგრამ რამდენიმემილიონიანი ბრუნვა მქონდა და ნარკობიზნესის დაუფლება ნამდვილად არ მჭირდებოდა. როცა ამ სიბინძურეს ჩამოვირეცხავ, ალბათ, მერე მიხვდებიან, რომ ამ საქმეში გასვრილი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, დღეს ადამიანებს ნარკოტიკზე, ნარკოდანაშაულზე საუბარი ეჩოთირებათ და არც რეკომენდაციების გაცემა სურთ.

**— მაგრამ, ამ სიაში ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული ბევრი ადამიანი მოხვდა, მაგალითად, ნარკოტიკის შენახვისთვის უვადო პატიმრობამისჯილი დევრიშაძე, რომელიც გათავისუფლდა. რატომ ის და არა თქვენ?**

— არ ვიცი. თუ ამ ამბავს მაინცდამაინც ფინანსური საზომით შევხედავთ, ისიც არ ვიცი, ფული მართლა ვინმესთან უნდა გადამეხადა თუ არა. რა ვიცი, ჩემთვის არავის უგრძნობინებია, ფული მინდაო. მეუბნებოდნენ, შენს საქმეს მიეხედება ერთ-ორ თვეშიო. მეტიც, ქუთაისელ პროკურორს აგზავნიდნენ საპატიმროში მყოფ ჩემს ნათესავებთან და ყველანაირ საპროცესო პირობაზე თანახმა იყვნენ, ოღონდ ჩემი ფულის უკან დაბრუნება არ მომეთხოვა და საქმე არ გამესაჩივრებინა. უკვე 2012 წელი იყო, ნაციონალები ხვდებოდნენ, რომ ხელისუფლებიდან მიდიოდნენ და ჩემთვის უძრავი ქონების, მანქანების, რესტორნების, ვაკის სახლის დაბრუნებაზეც თანახმა იყვნენ, ოღონდ ის 1 700 000 ევრო უკან არ მომეთხოვა და დანაშაული ჩვენს თავზე აგვეღო. ამბობდნენ, საპროცესოს გაფორმების მეორე დღესვე ციხიდან გაგიშვებთო. ამას მანანა კობახიძე და ლალი აფციაურიც დაგიდასტურებენ. მათ მითხრეს, მაგ საპროცესოს ხელს არ მოვაწერთ, ისეთი გაყალბებული საქმეაო. მეუბნებოდნენ, ახლა ძველი ხელისუფლება წავა, ახალი მოდის და 2-3 თვე რა გაგიჭირდათ ციხეში ჯდომა, ცოტა ხანში ყველაფერი შეიცვლებაო. მითხრეს, შეგიძლია, 1000-ლარიანი ადვოკატი აიყვანო და იმან მოაწეროს ხელი ამ საპროცესოზე, ჩვენ გვრცხვენია, ასეთი სწორად წარმართული საქმის საპროცესო გარიგებით დასრულებაო. დავთანხმდი და ჩემი ნათესავებიც დავარწმუნე, რომ ასე სჯობდა.

**— და დღეს ნანობთ, რომ 2012-ში იმ საპროცესო გარიგებას არ დათანხმდით?**

— როგორ არა, დღეს უკვე ვნანობ, რომ ამაზე წავედი. იმიტომ კი არა, რომ მე მიჭირს რამე, ჩემი ნათესავები მეცოდებიან, რადგან ისევ ციხეში არიან. ჩემი შვილის დედა, ბიძაშვილები 6 წელია იმ ციხეებში იხრჩობიან, ფიზიკურად და მორალურად ნადგურდებიან.

**— დღეს რა გამოსავალს ხედავთ, სავარაუდოდ, მათ შეწყალების შანსი აღარც აქვთ.**

— ერთადერთი გამოსავალი ისაა, ეს საქმე პროკურატურამ ხელახლა განიხილოს. ამ ხალხს თავად აღარ უნდა საპროცესო, ამბობენ, დღესვე რომ გვითხრან, აღიარეთ დანაშაული და გაგიშვებთ, პრინციპულად უარს ვიტყვით, მოვკვდებით, მაგრამ ამას არ ვიზამთო. ამ სკანდალიდან გამომდინარე კი, გამოდის, მათ აღარც შეიწყალებენ, ამიტომ რჩება პროტესტის, შიმშილობის, თვითდაზიანების გზა. თუმცა ჩემს ახლობლებს მუდმივად ველაპარაკები და ვთხოვ, ეს არ გააკეთონ, საკუთარ თავს არაფერი ავნონ, მაგრამ დაიღალა ის ხალხი.

# იაშვილის კლინიკის ექიმი ასმათ შენგელაია „ვერსიას“ ბავშვთა ლეიკემიის საგანგაშო სტატისტიკას აწვდის



## რატომ ხდება აუცილებელი საზღვარგარეთ მკურნალობა

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**ლეიკემია... საზღვარგარეთ მკურნალობა ესაჭიროება... დავეხმაროთ... გადავარჩინოთ სიცოცხლე... — მსგავს ფრაზებს სოციალურ ქსელში ხშირად ამოიკითხავთ და ასეთ დროს თანაგრძნობასთან ერთად, ჩნდება უამრავი კითხვა. რატომ გახშირდა ასე ბავშვთა ლეიკემიის შემთხვევები, რატომ დგება საზღვარგარეთ მკურნალობის აუცილებლობა? ნუთუ ჩვენი სამედიცინო სფერო ამ დაავადების წინაშე უძლურია?**

ასეა თუ ისე, ფაქტია — არსებული მონაცემები, იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში სტაბილური ციფრი ფიქსირდება, სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს: ყოველწლიურად საქართველოში ლეიკემიის 35-40 პირველადი შემთხვევა ფიქსირდება, აქედან 30-35 შემთხვევა მწვავე ლიმფოიდურ, 5-10 შემთხვევა კი მწვავე მიელოიდურ ლეიეკემიაზე მოდის. ამჟამად სტაციონარში 25 ბავშვი მკურნალობს, ხოლო 45-ს ამბულატორულად უტარდება დაცვითი თერაპიის კურსი.

საკითხავია, რამდენად ზუსტია ეს მონაცემები, რადგან არაერთი თეთრხალათიანი კულუარულ საუბრებში აღნიშნავს, რომ ლეიკემიით დაავადებული ბავშვების რაოდენობა ბევრად მეტია და ეს მონაცემები, უბრალოდ, არ საჯაროვდება. სხვათა შორის, „ვერსიასთან“ ინტერვიუში, ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი რეზო გაგუაც აღნიშნავდა, რომ ყოველწლიურად ბავშვთა ონკოლოგიის 300 შემთხვევა ფიქსირდება და აქედან 50% ონკოჰემატოლოგიაზე მოდის. მ. იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიური დეპარტამენტის უფროსი **ასმათ შენგელაია** კი „ვერსიასთან“ მონაცემების სიზუსტეს ამგვარად ასაბუთებს: **„ეს ერთადერთი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მკურნალობენ. სწორედ ამიტომ, ჩვენი დეპარტამენტი ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას და გააჩნია ზუსტი სტატისტიკური მონაცემები აღნიშნულ ნოზოლოგიასთან მიმართებაში“.**

ჩვენი საქმე არაა მტყუან-მართლის გარკვევა, აქ მთავარი ისაა, რამდენად შედეგიანია მკურნალობა და რატომაა აუცილებელი პატარა პაციენტების საზღვარგარეთ გადაყვანა. აქაურ ექიმებს არ ენდობიან თუ საქართველოში ეს სფერო ჯერ ისე არაა განვითარებული, ადგილობრივმა ექიმებმა უცხოელ ექიმებთან მიახლოებული შედეგები მაინც დადონ? ამ კითხვებზე ოფიციალური პასუხი ასეთია: **„1994 წლიდან ონკოჰემატოლოგიურ დეპარტამენტში დაინერგა ევროპული პროტოკოლი, რომლის გამოყენებით შესაძლებელი გახდა გადარჩენის მაჩვენებელი 3-5%-დან 60-67%-მდე გაზრდილიყო. აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 80-90%-ია მაშინ, როდესაც ინდოეთში 61%-ია. უკანასკნელ წლებში ერთადერთი სერვისი, რომლის მისაღებადაც ქვეყნიდან პაციენტების გადინების საკითხი დგებოდა, იყო ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია. ქიმიოთერაპიული კურსის ჩასატარებლად ლეიკემიით დაავადებული პაციენტების საზღვარგარეთ წასვლის მხოლოდ ერთეულ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. ეს ფაქტი უცხოელმა ექსპერტებმაც არაერთხელ აღნიშნეს შეფასებებში“.**

რა შეეხება ქართველი ექიმების მიმართ ნდობის ფაქტორს, იაშვილის კლინიკაში გვითხრეს — იმის გათვალისწინებით, რომ ლეიკემიის სამკურნალოდ (ქიმიოთერაპიის ჩასატარებლად) ბოლო წლებში მხოლოდ ერთეული პაციენტი წავიდა საზღვარგარეთ, ქართველი ექიმების მიმართ ნდობის ფაქტორი საკმაოდ მაღალიაო. თუმცა საზოგადოებაში სხვაგვარი დამოკიდებულებაა და ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნდობას უფრო რომ არყევს, ესეც უდავოა.

**„მწვავე ლეიკემიის დიაგნოზი ემყარება სისხლის საერთო ანალიზს და ძვლის ტვინის კვლევას ოთხი მიმართულებით — პუნქტატის მორფოლოგიური კვლევა, ციტოქიმია, იმუნოფენოტიპირება, გენეტიკური კვლევა, რაც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ლაბორატორიებში ხორციელდება. სადიაგნოსტიკო კვლევები უკანასკნელ წლებში მაქსიმალურად დაიხვეწა. მორფოლოგიურ კვლევასთან ერთად ტარდება იმუნოფენოტიპირება გამდინარე ციტომეტრით, რაც დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტადაა მიჩნეული. ამჟამად ვმუშაობთ მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიის აწყობაზე. ორივე ეს კვლევა უცხოელი კოლეგების მხარდაჭერით ხორციელდება. ერთი წელია, რაც დაინერგა მინიმალური რეზიდუალური დაავადების კვლევის მეთოდი. კვლევა იტალიის პადოვის საუნივერსიტეტო კლინიკისთან ერთად ე.წ თვინინგ პროექტის ფარგლებში ხორციელდება, საერთაშორისო BFM სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით.**

**ახალი კვლევების დანერგვა მიმდინარეობს ევროპის წამყვანი კლინიკების მონიტორინგით, კერძოდ მინიმალური რეზიდუალური და იმუნოფენოტიპური კვლევები ხორციელდება პადოვის საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ, ხოლო PCR ლაბორატორიის აწყობას კურირებენ ჩეხეთის მოტოლის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორები“,** — ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი მოცემულობაა, თუმცა სამწუხაროდ, ისიც ფაქტია, რომ არაერთი შემთხვევა სრულდება ლეტალურად და არაერთხელ, ინფორმაციაც გავრცელებულა, რომ მკურნალობის უშედეგობის ერთ-ერთი მიზეზი იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკში სისხლის დეფიციტია: **„ლეიკემიით დაავადებული პაციენტების მკურნალობის პერიოდში სისხლის კომპონენტების მოხმარების სიხშირე ძალიან მაღალია. უკვე ერთი წელია დავიწყეთ საერთაშორისო სტანდარტით რეკომენდირებული სისხლის კომპონენტების, კერძოდ თრომბოკონცენტრატების გამოყენება. ეს ნიშნავს, რომ თრომბოციტების რაოდენობის შენარჩუნება შესაძლებელია შედარებით მცირე რაოდენობის სისხლით და მეტად ეფექტურია. ამ სერვისის შეთავაზებაც უცხოელების დახმარებით გახდა შესაძლებელი“,** — რთულია თქმა, ამგვარი არგუმენტი არაპირდაპირი აღიარება ხომ არაა არსებული პრობლემის, მაგრამ სკანდალები იაშვილის კლინიკის ირგვლივ უფრო და უფრო რეზონანსული რომ ხდება, ამას ვერსად გავექცევით.

**„ეს ძალიან მტკივნეულად აღიქმება ჩვენს მიერ. 20 წელი დაგვჭირდა, რომ გარკვეული შედეგები დაგვედო. საქართველოში 700-ზე მეტი ბავშვია ლეიკემიის მძიმე დიაგნოზით სრულიად განკურნებული და სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობს. ბევრი მათგანი დაოჯახებული, წარმატებული ადამიანია და თითოეული ჩვენი სიამაყეა. რა თქმა უნდა, ტკივილიც და დამარცხებაც ბევრჯერ გვქონია, მაგრამ ყოველთვის უკეთესი შედეგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ“,** — აღნიშნავს ქალბატონი ასმათი, თუმცა რამდენადაა მსგავსი სიტყვები დაავადებული ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის ნუგეშისმომცემი, ცალკე საუბრის თემაა. ყველას გვინდა, ერთ მშვენიერ დღეს მოვისმინოთ, რომ ლეიკემია დამარცხებულია და არც ერთ პატარას აღარ ემუქრება, მაგრამ სანამ განვითარებული მსოფლიო ამ პრობლემის საბოლოო გადაჭრამდე მივა, ჯერ ჩვენ უნდა გავუთანაბრდეთ მათ. საქართველოში მედიცინა რა დონეზეცაა, ყველამ კარგად ვიცით და რაც უნდა ვიბაქიბუქოთ, ახალ სტანდარტებს ვნერგავთო, სანამ ქართველი ექიმები თუ ადგილობრივი კლინიკები იმაზე ფიქრს არ შეეშვებიან — რაც შეიძლება მეტი თანხა გამოსძალონ სახელმწიფო დაზღვევას და ბოლომდე არ გააცნობიერებენ, რომ მათ ხელში ადამიანის სიცოცხლეა, მანამ არაფერი გვეშველება, მით უმეტეს, არსებული პრობლემების გათვალისწინებით: **„რა თქმა უნდა, პრობლემა ბევრია. ის სტანდარტი, რაც ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებშია, არ არის ადვილად მისაღწევი. ეს ძვირადღირებული მკურნალობაა, რაც ძვირადღირებულ მედიკამენტებთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, ძვირადღირებულ სისხლის კომპონენტებს, მაქსიმალურად დაცულ ინფრასტრუქტურას საჭიროებს. მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია, სამკურნალო საკითხებთან ერთად სოციალური, საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებასაც უდიდესი როლი ენიჭება. ჩვენი შედეგებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ საქართველო უძლურია ამ დაავადების წინააღმდეგ, ბოლო წლებში მიღწეული პროგრესი თვალსაჩინოა, თუმცა ევროპულ და ამერიკულ სტანდარტამდე გზა კიდევ გვაქვს გასავლელი“,** — აცხადებს ასმათ შენგელაია და ძნელია შეედავო, მით უმეტეს, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა 1 276 000 ლარით ფინანსდება, ბიუჯეტი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ახალი კვლევები და ძვირადღირებული სისხლის კომპონენტები კი, არსებული დაფინანსების პირობებში, სერიოზულ პრობლემად რჩება. **„ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობის ხარჯი საკმაოდ მაღალია, განვითარებულ ქვეყნებშიც კი ეფექტური მენეჯმენტის შემუშავებისთვის მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა ასაკში ლეიკემიების მკურნალობის შედეგები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ნებისმიერი კონტრიბუცია გამართლებულია. საქართველოში ლეიკემიით დაავადებული ყველა ბავშვის მკურნალობა სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება, უსახსრობის გამო მკურნალობაზე უარის შემთხვევები არ დაფიქსირებულა“.**

ასეა, ბატონო — ოფიციალური ინფორმაციით სახელმწიფო ბავშვებში დაავადების მკურნალობას აფინანსებს, რეალობა კი მკვეთრად განსხვავებულია და არავინ თქვას, რომ ლეიკემიით დაავადებული პატარების ოჯახებს მკურნალობაში თანხა არ ეხარჯებათ. სანამ სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში ჩნდება ინფორმაციები, რომ ბავშვებს საზღვარგარეთ მკურნალობა ესაჭიროებათ, ჯანდაცვის სამინისტროზე დამოკლეს მახვილივით ყოველთვის იქნება კითხვა — საყოველთაო დაზღვევა არ მუშაობს?!



# თამარ სანიკიძემ წარჩინებული კურსდამთავრებულები ოქროს მედლებით დააჯილდოვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ სანიკიძემ წარჩინებული კურსდამთავრებულები ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2014-2015 წელს, საქართველოს მასშტაბით, ოქროს მედალოსანთა რაოდენობა 1550 მოსწავლეს შეადგენს, ხოლო ვერცხლის კანდიდატთა რიცხვი 960-ია. თბილისის მასშტაბით, დღეს ოქრო 480 მოსწავლეს გადაეცა.

„განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ოქროს მედალი ეძლევა მოსწავლეს, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა შეადგენს 10-ს დამრგვალების გარეშე. ამასთან, იღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე და სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. ვერცხლის მედალი ეძლევა მოსწავლეს, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა 9.8 ან მეტია. აქვს დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე და სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს. მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა წარჩინებული მოსწავლეების მედლებით დაჯილდოება, რომლის მიზანი მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულთა წარმოჩენაა.

*„პია“*

# საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ნაძვის ხეების ფესტივალი გაიხსნა



ნაძვისხეების ფესტივალზე სხვადასხვა კომპანიების მიერ მორთული 20-მდე საიმიჯო ნაძვისხე გამოიფინა. ექსპოზიციის ნახვა დამთვალიერებელს შარდენის ქუჩაზე, ბამბის რიგსა და კინოს მოედანზე 3 იანვრამდე შეეძლება.

თბილისის მერიის ინფორმაციით, ნაძვისხეების გამოფენის პარალელურად, შარდენის ქუჩასა და ბამბის რიგში, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და ბენდ Strawberry Fields-ის კონცერტი მოეწყო. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს გლინტვეინისა და საახალწლო ნუგბარის დაეგემოვნების საშუალებაც ჰქონდათ.

ნაძვისხეების ფესტივალი თბილისის მერიისა და „მეიდან ივენთსის“ ორგანიზებით მოეწყო.

*„პია“*

# მაღალგამდიდრებული ურანი ქვეყნიდან გაიტანეს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში მაღალგამდიდრებული ურანის რეპატრიაციის პროცესს დაესწრო. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ პროცესს საფუძვლად დაედო 2014 წლის 25 მარტის ბირთვული უსაფრთხოების ჰააგის სამიტის კომუნიკე, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ შესაბამისი ზომები მაღალგამდიდრებულიურანის მარაგის შესამცირებლად. შესაბამისად, განხორციელებული რეპატრიაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან შესრულდა კომუნიკეთი დაკისრებული ვალდებულება და საქართველო 2016 წელს დაგეგმილ ბირთვული უსაფრთხოების აშშ-ს სამიტს ხვდება, როგორც ბირთვული თვალსაზრისით თავისუფალი სახელმწიფო. რეპატრიაციის სანაცვლოდ, კომპენსაციის ოდენობად განისაზღვრა დაახლოებით 2 000 000 აშშ დოლარი, რითაც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მეტეო-რადარს შეიძენს, რომლის საშუალებითაც ადრეულ ეტაპზე მოხდება ამინდისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების დეტალური და ლოკაციური პროგნოზირება. თანხის ნაწილით კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია შესაბამისი დანადგარებით, სამედიცინო ფიზიკის მოთხოვნების გათვალისწინებით აღიჭურვება. რეპატრიაციის პროცესში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, მონაწილეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიღეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები სახელმწიფო უწყებებში ირღვევა

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

**საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების უფლებები ხშირად რომ ირღვევა, საიდუმლო არავისთვისაა. სამაგიეროდ, ბევრმა არ იცის ის, რომ ეს ხშირად სახელმწიფო უწყებებში ხდება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, შშმ პირებს, უმეტესად, პრეტენზიები, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების, ასევე თბილისის მერიის მისამართით აქვთ. ომბუდსმენს შშმ პირები საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი დისკრიმინაციული ფაქტებითაც მიმართავენ.**



## რატომ ეხსნებათ სოციალური სტატუსი ოჯახებს, სადაც ერთი წევრი მაინც შშმ პირია

საზოგადოების მხრიდან აგრესიული ფონის გამოვლენაზე საუბრობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 4 წლის გიორგის დედა, ნათია გიგაურიც. მისი თქმით, იგი შვილის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაყვანას ვერ ბედავს, რადგან, შესაძლოა გიორგი ხალხმრავალ ადგილებში გაღიზიანდეს, რაც საზოგადოების მხრიდან მისი შვილის მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას გამოიწვევს. ნათია ასევე აღნიშნავს, რომ გიორგისთვის შესაბამისი პირობებით ბაღი ვერ მოძებნა, რადგან სერიოზული ხარვეზია, ინკლუზიური ბაღების მხრივაც.

შშმ პირების მიმართ გამოვლენილი, დისკრიმინაციული ფაქტებისა და სახელმწიფო უწყებების მიერ, რომელიმე უფლებით სარგებლობის ხელშეშლაზე, „ვერსიასთან“ სახალხო დამცველის აპარატის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის“ უფროსის მოადგილე **რუსუდან კოხოძე** საუბრობს:

— **ქალბატონო რუსუდან, შშმ პირები ძირითადად რა პრობლემებით მოგმართავენ?**

— ხშირია შემთხვევები, როცა სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემები, ან ეხსნებათ სოციალური შემწეობა. შევისწავლით დისკრიმინაციის ფაქტებსაც, რაც შეიძლება კერძო, ან სახელმწიფო უწყებიდანაც მოდიოდეს. სხვადასხვა დისკრიმინაციული ფაქტების გამო, შშმ პირები, მთელი თვის განმავლობაში მოგვმართავენ. ამ მიმართულებით, მოგახსენებთ ორ ახალ რეკომენდაციას, კერძო უწყების მიმართ. ერთ-ერთი რეკომენდაცია შევიმუშავეთ მოქალაქის მიმართ, რომელმაც შშმ ბავშვი და მისი მშობელი, სახლიდან (დაქირავებული ბინიდან) ბავშვის მდგომარეობის გამო გამოაგდო. ბინის მესაკუთრის თქმით, ბავშვს ქცევითი აშლილობა ჰქონდა. ის ბავშვის დედას ეუბნებოდა, ასეთი ავადმყოფი ბავშვით არ მინდა, ჩემს სახლში იცხოვრო, შეიძლება მან სახლი გადამიწვასო. რეალურად, ამის საფრთხე არ არსებობდა და არც ყოფილა შემჩნეული ასეთ ქმედებებში. ჩვენს საზოგადოებაში გამყარებული სტიგმიდან და სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ბინის მესაკუთრე მიიჩნევდა, რომ შშმ პირისგან საფრთხეს უნდა ელოდოს. „თანასწორობის დეპარტამენტმა“, რომელიც უშუალოდ დისკრიმინაციის ფაქტებს განიხილავს, ამ კერძო პირის მიმართ რეკომენდაცია შეიმუშავა. მეორე საქმე კი, გახმაურებული იყო — სპორტის სასახლეში, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე ვერ შევიდნენ ეტლით მოსარგებლე ადამიანები. სახალხო დამცველმა ფაქტი მეორე დღესვე საჯაროდ დაგმო, მაგრამ საქმის შესწავლაც დავიწყეთ და ღონისძიების ორგანიზატორ შპს „არტპალასის“ მიმართ, რეკომენდაციაც დავდეთ, რომ მომავალში მსგავსი რამ არ მოხდეს.

— **რაიმე სანქცია დაეკისრა ამ კომპანიას?**

— სახალხო დამცველის აპარატი არ არის სადამსჯელო ორგანო. ჩვენი მთავარი ბერკეტი რეკომენდაციის გაცემაა. რეკომენდაცია შესრულდება თუ არა, ამის მონიტორინგსაც ვახორციელებთ. სახელმწიფო უწყებას, კანონიც ავალდებულებს, ოცი დღის ვადაში გვაცნობოს, რა რეაგირება მოახდინა ჩვენს რეკომენდაციაზე. თუმცა, ისეც ხდება, რომ რეკომენდაციებს არ ითვალისწინებენ.

— **სახელმწიფო უწყებების მხრიდან რა დარღვევის ფაქტები ვლინდება?**

— ძირითადად, პრობლემა იქმნება რომელიმე უფლების სარგებლობაში ხელშეშლისას. მაგალითად, განათლების მიღების უფლების დარღვევას, რომლის მიხედვითაც შშმ ბავშვს არ აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს სკოლამდელი განათლების მიღების პროცესში.

— **რატომ, ხომ არსებობს ბაღები, სადაც ინკლუზიური სწავლებაა?**

— ინკლუზიური განათლების მქონე ბაღები ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაშია და შესაბამისად, კანონმდებლობა არ არეგულირებს ბაღებში ინკლუზიური განათლების არსებობა-არარსებობის საკითხს. აქედან გამომდინარე, ცოტა ძნელია, დაავალდებულო რომელიმე ბაღი, გინდა თუ არა, მიიღე შშმ ბავშვიო. მეორე მხრივ, გვაქვს გაერო-ს კონვენცია, რომელიც სახელმწიფოს პირდაპირ უწესებს ვალდებულებებს, მოაწესრიგოს ყველა სფეროში შშმ პირების ცხოვრება. დოკუმენტი რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ, რაც ნიშნავს, რომ მისი შესრულება სავალდებულოა. კონვენციაში ასევე წერია, რომ განათლების ყველა საფეხურზე, შშმ პირებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება და იყოს საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული. ამ მიმართულებით კი, ბევრი პრობლემაა საქართველოში.

— **ამ მხრივ სკოლებში რა მდგომარეობაა?**

— ადრე იყო საპილოტე სკოლები, მაგრამ დღეს უკვე ფორმალურად „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ წერია, განხორციელდეს ინკლუზიური სწავლება. ნებისმიერ სკოლაში შშმ ბავშვს უნდა შეეძლოს მისვლა და განათლების მიღება. თუმცა, ყველა სკოლაში არ არის შესაბამისი პედაგოგი, ადაპტირებული გარემო, არ გვაქვს შესაბამისი სასწავლო მასალა საკმარისი რაოდენობით... პრობლემებია ჯანდაცვის სფეროშიც. რატომღაც, როდესაც შშმ პირებზეა საუბარი, პასუხისმგებელ უწყებად მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო განიხილება. თუმცა ვფიქრობ, რომ ბევრ სხვა ფუნქციასთან ერთად, ეს სამინისტრო, კარგად ვერ გაართმევს თავს შშმ პირთა საკითხებსაც. უნდა მოხდეს ამ საკითხების ინკლუზია სახელმწიფოს ზოგად პოლიტიკაში — ყველა უწყებას თანაბარი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს.

— **ჯანდაცვის სამინისტროსთან შშმ პირებს, ძირითადად, რა პრეტენზიები აქვთ?**

— ამ სამინისტროს მიმართ, ყველაზე ბევრი პრეტენზია შემოდის. ისინი ძირითადად ეხება სოციალურ დახმარებებს, ან რომელიმე სახელმწიფო პროგრამით სარგებლობას, შშმ ბავშვების რეაბილიტაციისა და აბილიტაციის პროგრამებს და მათში ჩართვისას შექმნილ პროგრამებს. ჩვენ მივმართავთ ხოლმე სამინისტროს, საიდანაც გვპასუხობენ, რომ ესა თუ ის პირი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს და ამიტომ ვერ ჩაერთო პროგრამაში. ხან გვწერენ, რომ განიხილავენ კონკრეტულ პრობლემას. იგივე ხდება შემწეობასთან დაკავშირებით. ეს, ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენციაა. ბევრ ოჯახს, რომლის ერთ-ერთი წევრი მაინც არის შშმ პირი, მოეხსნა სოციალური დახმარება მას შემდეგ, რაც ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ახალი მეთოდოლოგიით ხდება. ვაკვირდებით პროცესს და მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს, მაგრამ პასუხები, როგორც წესი, ტრაფარეტულია — ახალი შეფასების საფუძველზე ვერ დააგროვა შესაბამისი ქულა. ჩვენი დაკვირვებით, შშმ პირის სოციალურ პაკეტი, გარკვეულწილად უთანაბრდება საარსებო მინიმუმს, რაც ხელს უშლის უმწეოთა ბაზაში მოხვედრას. შშმ პირებს აქვს პრეტენზიები ასევე თვითმართველობის მიმართაც. მაგალითად, თბილისის მერიის მიმართ. პრეტენზიები უკავშირდება არა მხოლოდ სოციალური პროგრამებით სარგებლობას, არამედ კეთილმოწყობას, ინფრასტრუქტურას, არაადაპტირებულ ტრანსპორტს...



# 9 შვილის უსახლკარო დედა თავშესაფარს ითხოვს

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

**თბილისელი, უსახლკარო, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი დედა ნინო ბუთხუზი ცხრა შვილსა და მეუღლესთან ერთად, ერთოთახინ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. წლებია საკუთარ ბინას ელოდებიან. სოციალური საცხოვრისის სამივე ეტაპი გავლილი აქვთ, მაგრამ რატომღაც სახლი დღემდე არ მიუღიათ. ღმერთის მადლობელია კარგი შვილებისთვის. ამბობს, რომ მათ მამულისთვის ზრდის. თუმცა, გული წყდება, რომ ბინის მიქირავებაზე, ბავშვების რაოდენობის გამო, ბევრი უარს ეუბნება. გიორგი, ნათია, ვერიკო, საბა, ლიზი, მარიამი, ნიკოლოზი, ბარბარე და თვეების ჭიჭიკო ახალ წელს, ახალი იმედით ელოდებიან.**



— **ქალბატონო ნინო, თქვენი შემოსავალი თვეში რამდენია?**

— ფიზიკურად ვერ ვიმუშავებ, პატარები მყავს. მეუღლესაც არ აქვს სტაბილური სამსახური. მრავალშვილიანობის და სოციალური დახმარება 400-400 ლარია, ბინის ქირას, 250 ლარს მთავრობა გვაძლევს, მაგრამ არ გვყოფნის — ქირას ვამატებთ 100 ლარს, ამას კომუნალური გადასახადიც ემატება, რომელიც მინიმუმ 150 ლარი გამოდის.

— **კვებაში დღეში რა თანხა გეხარჯებათ?**

**„რაც გამოცხადდა — 1.18 ლარი გადაამრავლეთ 11 ადამიანზე და მინიმუმ ეგ მაინც ხომ გვჭირდება...“ — რეპლიკისგან თავი ვერ შეიკავა რესპოდენტის მეუღლემ. მცირე პაუზის შემდეგ კი, საუბარი, კვლავ ნინო ბუთხუზმა განაგრძო:**

— უფასო სასადილოთი ვსარგებლობთ, ქილებით მოგვაქვს კერძი და დღეში 5 პური. როცა ბავშვები ბაღში არიან, პურის დამატება არ გვჭირდება. მადლობელი ვარ უფლის. კვირაში ორჯერ ხორცია სასადილოში, ხშირად შეგვინახავს საჭმელი — უფროსები არ ვჭამთ, ბავშვებისთვის ვზოგავთ. უფროსი ბავშვებიც კი ასე იქცევიან. სხვაგვარად, მშივრები ვიქნებოდით. კვირაში 4-5 დღე მარტო სასადილოს საჭმელზე გადავდივართ. დღეში 30 ლარი სჭირდება სადილის გაკეთებას.

— **საკუთარი სახლი რატომ არ გაქვთ?**

— საკუთარი ბინა არასოდეს გვქონია. სად არ გვიცხოვრია. საპატრიარქოს თავშესაფარში ვიყავით, მაგრამ ისეთი კატეგორიის ხალხი იყო, დღეში შვიდი პატრული და ათი სასწრაფო მოდიოდა. საკუთარი ნებით წამოვედი. შვილებს ასეთ ადგილას ვერ გავზრდიდი. ფოსტის ძველ შენობაშიც ვიყავით, წელიწადნახევარი 150-ე სკოლის სარდაფშიც ვცხოვრობდით და 129-ე სკოლაშიც დავყავით რვა თვე. ისეც მომხდარა, ბინაში შევსულვართ, მაგრამ ქირა ვერ გადაგვიხდია და დაგვიცლია. თუ რამე გვქონია, იქ დაგვრჩენია. უფროსი სამი ბავშვი უბინაობის გამო უსწავლელი დამრჩა. ხან გლდანში ვიყავით, ხან ვარკეთილში, ხან — რუსთავში. წლებია, ელემენტარულ თავშესაფარს ვითხოვთ. პაატა ბურჭულაძის ფონდში გვითხრეს, 12 000 დოლარს გამოვყოფთ თქვენი ბინისთვის, მოძებნეთ რამე და გიყიდითო, მაგრამ ამ თანხით ვერაფერი ვიპოვეთ. რაიონში კი ვიყიდით რამეს, მაგრამ იქ ვერ ვიცხვორებთ. იქედან ხალხი აქ გამორბის, რომ შვილებს რამე გაუკეთოს. იქ ვერაფერს გავაკეთებთ. 2 წელი ვცხოვრობდით ჩემი ქმრის სოფელში ცაგერში, მაგრამ იქ უარესია. თოვლმა სახურავი ჩამოგვიტეხა. სახლს ვერ ვათბობდით. მირიანი მიწას ამუშავებდა, მეც ვეხმარებოდი, მაგრამ იქ გასაქანი არ არის. თანხა რომ მოეცათ, პატარა ნაკვეთს შევღობავდი და სახლს დავდგამდი.

— **ამ ფონზე, ახალ წელს როგორ შეხვდებით?**

— **სასადილოში** გვაძლევენ 10 ქათამს, ხილს, ტკბილეულს... მეც ვცდილობ, სუფრას რაღაც შევმატო, მაგრამ ძირითადად სასადილოს ნობათით შემოიფარგლება ჩვენი საახალწლო სუფრა. შარშანდელი ახალი წელი დასამახსოვრებელი იყო. 15 წლის განმავლობაში ასეთი ახალი წელი არ გვქონია — ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა, 30 დეკემბერს, პროდუქტები, ტანსაცმელი, ნაძვისხე, სათამაშოები მოგვიტანეს. მოსვლამდე დაგვირეკეს, ფულიც დაგვრჩა და რა გიყიდოთო. საბნები არ გვქონდა და 5 საბანი მოიტანეს, კონვერტით თანხაც გადმოგვცეს. ძალიან ბედნიერები ვიყავით. წელს, საბა მათემატიკის ოლიმპიადაზე გვყავდა. უთხრეს, თოვლის ბაბუს სურვილები დაუწერეთო. დავწერეთ: „თოვლის ბაბუ, ამ წერილს გწერს დედიკო, ჩემი კარნახით. ჩემი ყველაზე დიდი სურვილი ლეპტოპია ჩემი დედმამიშვილებისთვის, რომ მულტფილმებს უყურონ...“ მერე, უცებ საბა გაჩერდა და წამოიყვირე, არა, დედიკო, დაწერე, რომ ჩემი ყველაზე დიდი სურვილი და ოცნებაა, ჩემი სახლი მქონდესო. საბასგან განსხვავებით, არ მჯერა თოვლის ბაბუის, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემს ქალაქში ჩემი კუთხე მექნება, არავინ მეტყვის — დაცალე ბინა და წადიო. იმედი მაქვს, მეცოდინება, რომ ბაღში თუ სკოლაში წასული ჩემი შვილები, ისევ იმ სახლში მოვლენ, საიდანაც წავიდნენ. ჩემი ბავშვობა რომ მახსენდება, მეცოდებიან ჩემი შვილები — ჩვენ არაფერი გვაკლდა, ამათ კი, ისეთი რაღაცები აკლიათ, გული მიკვდება!

# აუდიტორული კომპანია UHY AR GROUP — სანდოობის გარანტი ბაზარზე



რუსუდან ბარამიძე: „საგადასახადო კოდექსში ორმაგი ინტერპრეტაციის მუხლები არ არის, უბრალოდ, ამ მუხლებს სწორად წაკითხვა სჭირდება!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**აუდიტორული კომპანია UHY AR GROUP, რუსუდან ბარამიძემ შვილებსა და ძმისშვილთან ერთად დააფუძნა. კომპანია საქართველოს ბაზარზე უკვე ბრენდია. შესაბამისად, გასაკვირი არაა. რომ ყველა, ვინც ბიზნესს იწყებს, დასახმარებლად სწორედ ბარამიძის კომპანიას მიმართავს. UHY — საერთაშორისო კომპანია — URBAN HACKER YOUNG-ის აბრევიატურაა და UHY AR GROUP, უკვე ოთხი წელია, მისი სრულუფლებიანი წევრია. რა ძირითადი მიმართულებებით მუშაობს კომპანია UHY AR GROUP? „ვერსიას“ კომპანიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რუსუდან ბარამიძე ესაუბრება.**

**— ქალბატონო რუსუდან, კონკრეტულად რა მიმართულებებს მოიცავს თქვენი კომპანია?**

— ჩვენი კომპანია 2008 წელს დაარსდა და ეკონომიკური თვალსაზრისით, მისი მიმართულებაა ბუღალტრული და აუდიტორული საქმიანობა. გვაქვს სასწავლო ცენტრიც, სადაც მრავალი გამოცდილი ბუღალტერი გადავამზადეთ. ჩემი კომპანია, რომელიც უამრავ კერძო სუბიექტს ემსახურება, ჩვენსავე სასწავლო ცენტრში გაზრდილი ბუღალტრებითაა დაკომპლექტებული. ეს ჩემი პრეტენზია არ არის. უბრალოდ, დავინახეთ, რომ სხვები ბიზნესის საერთაშორისო სტანდარტებს სრულყოფილად ვერ ფლობენ და ლამის, მხოლოდ დეკლარაციების გაგზავნით შემოიფარგლებიან. დეკლარაციის გაგზავნა კი ჩემთვის ამოსავალი წერტილი არ არის. მთავარია, ბუღალტერიის სწორად, საგადასახადო კანონმდებლობითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მართვა.

**— სხვათა შორის, საბუღალტრო ხარვეზები ამა თუ იმ კომპანიაში, სწორედ აუდიტორული შემოწმების დროს იკვეთება. რა განსხვავებული მეთოდით ასწავლით თქვენს სასწავლო ცენტრში ან რატომ ვერ ფლობენ ბიზნესის საერთაშორისო სტანდარტებს სხვა ბუღალტრები?**

— პრობლემა ისაა, რომ ეკონომიკური განათლების კუთხით, საბუღალტრო საქმიანობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ბუღალტრებს შორის პოპულარულია მიდგომა, როდესაც თითოეულს საგადასახადო კოდექსის საკუთარი ინტერპრეტაცია აქვს. არადა, წიგნი უნდა წაიკითხო და საბუღალტრო აღრიცხვაც ამის მიხედვით განახორციელო. მაგალითად, ხარვეზები გვხვდება ხარჯების გატარებისას, რადგან ნედლეულიცა და საქონელიც, ერთად კი არა, ცალცალკე უნდა გატარდეს ხარჯებში. პრობლემებია ორგანიზაციული ვალდებულებების წარმოშობის დროსაც... ზოგი ბუღალტერი მიიჩნევს, რომ ეს ვალდებულებები მაინც კომპანიის გადასახდელია და მნიშვნელობას არ ანიჭებს, თანხას ერთად გაატარებს თუ სხვადასხვა კომპანიაზე ჩაშლის. სინამდვილეში, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ, ვის მიმართ გვაქვს ვალდებულება, ვის მიმართ — მოთხოვნა და ბალანსიც ამის მიხედვით უნდა შედგეს.

**— ეკონომიკის ექსპერტები ჩივიან, რომ საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლა არ შეიძლება, რადგან ამ ცვლილებებს ბიზნესი ფეხს ვერ უწყობს. საბუღალტრო ხარვეზებზე ვსაუბრობთ, მაგრამ ერთხელაც არ გითქვამთ, რომ პრობლემა საგადასახადო კოდექსშია. გამოდის, კანონში ორმაგი მუხლები არ არის?**

— არა, საგადასახადო კოდექსში ორმაგი ინტერპრეტაციის მუხლები არ არის, უბრალოდ, ამ მუხლებს სწორად წაკითხვა სჭირდება! ცალსახაა, რომ საგადასახადო კოდექსს უამრავი ინსტრუქცია, სახელმძღვანელო ახლავს, სადაც სიტუაციური მანუალებია აღწერილი, უამრავი ქვენორმატიული და კანონქვემდებარე აქტია და აქედან გამომდინარე, თუ ყველა აქტსა და ყველა ნორმატივს წაიკითხავთ, ყველაფერი ნათელი გახდება. თუმცა არამც და არამც არ შეიძლება, საგადასახადო კოდექსში ცალსახად წავიკითხოთ ის, რაც ამდენ კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტში, ასევე განმარტებებშია მოცემული. სრულყოფილი საბუღალტრო აღრიცხვა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როდესაც ბუღალტერი კოდექსთან ერთად, ყველა განმარტებით სახელმძღვანელოს და ყველა ნორმატიულ თუ კანონქვემდებარე აქტს ბოლომდე გაეცნობა.

**— აუდიტორული შემოწმების დროს, კონკრეტულად, რა სახის პრობლემებს აწყდებით ამა თუ იმ კომპანიაში?**

— აუდიტორული შემოწმების დროს, მთავარი პრობლემა სასაქონლო ნაშთებია და ძირითადად, ეს პრობლემა მაღაზიებში გვხვდება. სასაქონლო ნაშთები გაზრდილია და არ ვიცი, ბუღალტრებს რატომ არ მიაჩნიათ, რომ ეს სასაქონლო ნაშთები დამღუპველად მოქმედებს ამ კომპანიებზე? უფრო მარტივად რომ აგიხსნათ, სასაქონლო ნაშთი იგივე შემოსავალია, ანუ ნაშთი, რომელიც არ გაგაჩნია, მაგრამ გერიცხება. წარმოგიდგენიათ, რა დიდ შეცდომას უშვებენ? მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ სალარო ჩეკის ამორტყმის დეკლარირება უნდა განახორციელონ და გადამხდელებს ინსტრუქციას არ აძლევენ, რომ შეძენილი პროდუქცია უკვე გაყიდული აქვთ. ამაში გამყიდველებიც სცოდავენ, რადგან იმდენ სალარო ჩეკს არ არტყამენ, რამდენი პროდუქციაც გაიყიდა, ისინი ფიქრობენ, რომ ამით გადასახადებს ამცირებენ, მაგრამ პირიქით — ასე კომპანიას დათვურ სამსახურს უწევენ. რაც შეეხება სამშენებლო კომპანიებს, იქ უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ საინჟინრო სამსახურები „ფორმა 2“-ებს სრულყოფილად ვერ ადგენენ. როგორც წესი, ამას ბუღალტრებს ავალებენ, არადა, ეს ინჟინრების საქმეა. ამ შემთხვევაში, ინჟინერმა და ბუღალტერმა ერთობლივად უნდა იმუშაონ, რათა საბოლოოდ დაადგინონ, რა სახის საქონელი შეიძინეს, ან რის საფუძველზე, რამდენი კვადრატული მეტრი ფართი აშენდა და ამის შემდეგ, ეს ყველაფერი ნედლეულის ღირებულებასა და მის რაოდენობრივ ჩამოწერაზე უნდა გადაიანგარიშონ. ამას ცალკე ბუღალტერი, ან ინჟინერი ვერ გააკეთებს, მაგრამ როგორ ხდება, იცით? ინჟინერი ააშენებს და შემდეგ, ბუღალტერმა თავი უნდა იმტვრიოს, რა აშენდა, რა მასალა დაიხარჯა ან რა რაოდენობით. შესაბამისად, შეცდომებსაც ამიტომ უშვებენ. ჩვენ ეს ყველაფერი კანონმდებლობაში მოგვყავს, ვიწვევთ ინჟინრებს, რათა გავარკვიოთ, რა დაიხარჯა ამა თუ იმ შენობის აშენებაში, ვადგენთ „ფორმა 2“-ებს და სწორ საბუღალტრო აღრიცხვას ვაკეთებთ.

**— ქალბატონო რუსუდან, თქვენი კომპანია ბიზნესგეგმის შედგენასა და საინჟინრო საქმიანობაშიც მონაწილეობს, რა ფორმით უწევთ კომპანიებს დახმარებას ამ მხრივ?**

— ასეთ დახმარებას საერთაშორისო კომპანიებს ვუწევთ, რადგან უცხოურ კომპანიებს აინტერესებთ, როგორი ბაზარია საქართველოში ან რამდენად გამართლებული იქნება ესა თუ ის საქმიანობა ჩვენს ბაზარზე. ამ შემთხვევაში, კომპანიებს ვუდგენთ ბიზნესგეგმას, სადაც გაწერილია, რომელი პროდუქცია შეიძლება გავიდეს ბაზარზე, ან რა მოგებას მიიღებს კომპანია.

**— დღევანდელი მდგომარეობით, რომელი დარგია ყველაზე კაპიტალტევადი საქართველოში? სად ღირს ინვესტიციების ჩადება?**

— უცხოელ ბიზნესმენებს ვურჩევ, რაც შეიძლება, იაფი და ხარისხიანი პროდუქცია შემოიტანონ საქართველოში. ჩვენ ერთ-ერთ საერთაშორისო კომპანიას ვემსახურებით, რომელსაც საკმაოდ ხარისხიანი პროდუქტები შემოაქვს საქართველოში და დღეს ეს კომპანია ბაზრის აბსოლუტური ლიდერია.

***

**კომპანია UHY AR GROUP-ის დამფუძნებლები არიან რუსუდან ბარამიძის შვილები — აკაკი და გიორგი ჟამუტაშვილები, ასევე ძმისშვილი ნანა ბარამიძე. კომპანიაში ძირითადად, რუსუდან ბარამიძის შვილები, რძლები, ძმისშვილები, დისშვილები და მისი სანათესაოს დიდი არმიაა დასაქმებული: თამუნა ჩიგოგიძე, ნათია გიორგაძე, ჭაბუკა ოსეფაიშვილი, ეკატერინე გოგიბერიძე, გვანცა სარალიძე, ირმა წერეთელი, ნანა ბუხუნიშვილი, ნანა მუსელიანი, ტარიელ ფოლადიშვილი, ინგა თვაური, ქეთი სეფიაშვილი, უჩა კვერცხიშვილი, რომა ასისტიშვილი, მიხეილ ტაბაღუა, ნინო მარტოლეკი, თამარ ცაგარეიშვილი, ნესტან ტოტოღაშვილი, თამარ ქიტიაშვილი, ნადეჟდა მაჩაბლიშვილი, მაია წამალაშვილი, ევა დავითაშვილი, მარინე ენუქიძე, ქეთი ტოჩილაშვილი, მაკა ყოჩიშვილი, ეკა ჯაფარიძე, სოფიო აკოფაშვილი, სოფიო ნოზაძე, ბექა მამულაშვილი, გიორგი ყანთელაძე, ბესარიონ მოისწრაფიშვილი, დარიკო ბოლქვაძე, თამარ ბორცვაძე, ნინო ხარშილაძე; იურისტები – ნანა წურწუმია, ინგა გაბრიელიანი, ნინო ბარამიძე; კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფას მართავს წარმატებული პროგრამისტი გიორგი ნიკოლეიშვილი; სასწავლო ცენტრს ხელმძღვანელობს ზეინაბ ქობულაძე; პედაგოგები არიან ანა ოსეფაიშვილი, ივანე შპეტიშვილი; კომპანიაში დასაქმებულია დამხმარე ბუღალტრების მთელი არმია, მათ შორის, ბექა ამზაშვილი, რუსუდან კვირიკაშვილი, მაია პაპუაშვილი, ნინო რობაქიძე, ნათია ჩიჩუა, ელისო ფიფია, ლევან ბიძინაშვილი.**



**კომპანია UHY AR GROUP-ის წამყვანი აუდიტორი ნანა ბარამიძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერია. მართალია, კოლეგები ქალბატონი რუსუდანის მსგავსად, მასაც პროფესიონალად თვლიან, მაგრამ „ვერსიასთან“ საუბრისას, ნანა ბარამიძე აცხადებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს.**

**— ნანა, თქვენი აზრით, რა ტიპის ფინანსური პრობლემები იკვეთება ამა თუ იმ კომპანიაში?**

— საგადასახადო კოდექსი ისეა დალაგებული, რომ ზოგი ბუღალტერი კარგად ირგებს საკუთარ თავზე. როდესაც ბუღალტერიასა და აუდიტზე ვსაუბრობთ, ამ მხრივ, კეთილსინდისიერება უმთავრესია. ამ კომპანიისა და უშუალოდ ქალბატონი რუსუდანის დადებითი მხარე, სწორედ ჩვენი სიმართლეა. თუ ადამიანს სიმართლეს ეტყვი, რაც უნდა დიდი გადასახადი ჰქონდეს, მზად არის, დაგიჯეროს და მის მიერ უნებლიედ დაშვებული შეცდომა გამოასწოროს. ჩვენ ბევრი აუდიტი განვახორციელეთ და ყველა შეცდომა, რაც ამა თუ იმ კომპანიაში ვნახეთ, ძირითადად, არაპროფესიონალიზმის შედეგი იყო. უკაცრავად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ბუღალტრებს ცოტა გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე. ჩვენი კომპანიის მაგალითზე გეტყვით, ამ საქმეში მამიდას უდიდესი გამოცდილება აქვს, ბოლოს და ბოლოს, აქ ყველა მისი გაზრდილები ვართ, მაგრამ ზოგჯერ რჩევას სწორედ ჩვენ გვეკითხება ხოლმე.

რჩევების, გამოცდილების გაზიარება და ზოგადად, უშუალო, თბილი დამოკიდებულება, აქ არავის უკვირს, რადგან ამბობენ, რომ კომპანია UHY AR GROUP ერთი დიდი ოჯახია. მისი „დიასახლისის“, რუსუდან ბარამიძის სავიზიტო ბარათი კი, საოცარი, თბილი ღიმილია, რომლითაც ის, ოფისში შესულ თითოეულ ადამიანს ეგებება.

ნინო ბაჯელიძე
„ვერსიისთვის“ ათენიდან

# მისტიკური მონასტერი საბერძნეთში „ტაო პენდელი“ შესაძლოა იბერიული წარმომავლობის იყოს

**„ტაო პენდელის“ მონასტერი დაახლოებით 30კმ-ის დაშორებით ათენიდან, პენდელის მთის აღმოსავლეთ ნაწილში, პიკერმი-რაფინის გზაზე მდებარეობს. პენდელის მთა კი, რომელიც ატიკის ჩრდილოეთ ნაწილშია, სიმაღლით (1107 მეტრი ზღვის დონიდან) მეორეა რეგიონში. პენდელი ყველაზე იდუმალებით მოცული ადგილია მთელ საბერძნეთში. ადგილობრივი მოსახლეობა მრავალი წელია აღნიშნავს, რომ აქ საოცრებები ხშირად ხდება. სამეცნიერო კვლევის საგანია სხვადასხვა უცნაური ფენომენი. მაგალითად ისეთი, როგორიცაა „ავტომობილის საოცრება“ — ჩამქრალი მანქანა, მთიდან დაგორების ნაცვლად, ფერდობზე თავისით ადის, რასაც ამ რეგიონში ელექტრომაგნიტური ველის არსებობით ხსნიან.**





პენდელის მთა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან გამოირჩეოდა მეტაფიზიკური მოვლენებით. ფაქტია, „წმინდა მარმარილო,“ რომლისგანაც აკროპოლის პართენონია დამზადებული, ამ მთიდანაა მოპოვებული და მასზე არასოდეს ჯდება არანაირი ფრინველი, რაც ასევე ამოუცნობი და საინტერესოა. რეგიონის დასახელების — ვრილისია, ეტიმოლოგია, „ვრილ“-იდან წარმოიშვა, რაც „დედამიწის ღრმულს“ ნიშნავს. უძველესი დროიდან სჯეროდათ, რომ ამ მთის ქვეშ სიცოცხლე არსებობდა.

მთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, 720 მ სიმაღლეზე მდებარეობს გამოქვაბული, რომლის სახელწოდება — „დაველის მღვიმის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მისი ადრინდელი დასახელება „მღვიმე ამოონიდან“ გამომდინარეობს, რაც „სუფთას“ და „უცოდველთას“ ნიშნავს, — ამბობენ, რომ მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეეძლოთ მასში მოხვედრა. გასულ საუკუნეში, გამოქვაბულში მიწისქვეშა გვირაბები აღმოაჩინეს, რომელიც ათენისკენ მიემართება. მღვიმის ზომა დაახლოებით 45/62 მეტრია. მღვიმე პირველად 1935 წელს შეისწავლა პეტრუხილების წყვილმა. მათ ათენისკენ მიმავალი გვირაბი ვერ იპოვეს, მაგრამ დადასტურდა თეორია „დედამიწის ღრუს“ არსებობის შესახებ. არსებობს მთის გულში, დაველის მღვიმეში შემავალი გზა. გადმოცემით, დაველი მეკობრე იყო, რომელიც თავის განძს ამ გამოქვაბულში ინახავდა. მოგვიანებით აქ შემავალი გზის ნაკვალევი დაიკარგა. დღეს კი, არსებობს რუკა, რომლის დახმარებითაც შეგიძლიათ გამოქვაბულში გზა გაიკვლიოთ. მღვიმეში ხდება ანომალიური მოვლენები, უცნაური ნათებები, ისმის გაურკვეველი ხმები... ბევრს უნახავს აქ მოჩვენებები, ადამიანის მსგავსი არსებები. გამოქვაბულში არის ძლიერი მაგნიტური ველი, ხოლო მღვიმის შესასვლელში ოზონის სუნი მძაფრად იგრძნობა. ნორმასთან შედარებით მაღალია რადიაციული გამოსხივება.

ვარაუდობენ, რომ „ტაო პენდელის“ მონასტერი მე-10 საუკუნეშია აშენებული. სამონასტრო კომპლექსი შედგება მთავარი საკათედრო ტაძრისა და კელიებისგან.

მონასტრის არქიტექტურა სრულიად განსხვავდება ყველა სხვა სახის სამონასტრო კომპლექსისგან, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ტაძრის არქიტექტურის თავისებურება და მრავალფეროვნება მის ისტორიაზე, მეტყველებს — ნათლად ჩანს ბიზანტიური, გოთიკური, ისლამური და იბერიული ელემენტები.

მთავარი ტაძარი მდებარეობს დიდი გუმბათის ქვეშ, რომელიც ეყრდნობა ცენტრალურ საყრდენ სვეტებს, რაც განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს მას. ექვსკუთხოვანი გუმბათი (საბერძნეთში ასეთი სახის ნაგებობები ძირითადად ოთხკუთხოვანია) უნიკალურია საბერძნეთისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი მრავალჯერ განადგურდა და აღადგინეს, მისი არქიტექტურული თავისებურება და ორიგინალური სტილი, ბერძნული ხუროთმოძღვრობისგან სრულიად განსხვავებულია.

მსგავსი არქიტექტურული ნაგებობა გვხვდება აგრეთვე კვიპროსზეც, რომელიც ასევე მე-11-12 საუკუნეებშია აშენებული. დღეისთვის აღდგენილია აფსიტიოტისსის ეკლესია. ისიც, ნიკოლაუს კამატერუს დროსაა აშენებული, რაზეც ეკლესიის კედელზე ამოტვიფრული და დღემდე შემორჩენილი სახელი „ნიკოლაუსიც“ მეტყველებს.

როგორც აღვნიშნეთ, ტაძარი მრავალჯერ დაარბიეს. ყველაზე მეტად მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში დაზიანდა ალჟირელი მეკობრეების თარეშისაგან. მათ დაარბიეს სამონასტრო კომპლექსი და დახოცეს 170 ბერი.

1963 წელს დაიწყო ტაო პენდელის აღდგენითი სამუშაოები, რომლებსაც ფარდა უნდა აეხადა მონასტრის ისტორიისთვის. სამწუხაროდ, ისტორიამ ვერ შემოგვინახა გამანადგურებელთა რელიგიურობა და ნაციონალური წარმომავლობა. მრავალ თავდამსხმელთა შორის იყვნენ მეკობრეებიც, ერთმორწმუნე ქრისტიანებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან, მაჰმადიანებიც...

გარდა არქიტექტურული არაორდინალურობისა, რაც დღემდე კვლევის საგანია, საინტერესოა ტაძრის სახელწოდებაც — „ტაო“. ისტორიკოსების ვერსიებიდან, ყველაზე სარწმუნოა ის, რომ „ტაო“ იბერიული წარმოშობისაა.

როგორც მოიხსენებენ, „ყოვლისშემძლე ტაო პენდელის სახელობის მონასტერი“, იმ ეპოქაშია დაარსებული, როდესაც საქართველოში „ოქროს ხანა“ იდგა. თავიდან აქ მამათა მონასტერი იყო. 1971 წლიდან კი, აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, აქ დედათა მონასტერი ფუნქციონირებს. აღდგომიდან პირველ სამშაბათს საზეიმო ლიტურგია სრულდება, რომელიც 1680 წელს მონასტერში დაღუპულ წმინდა მამათა ხსოვნას ეძღვნება.

მონასტერში რვა წმინდა ტრაპეზია, სადაც 24-საათიანი წირვა-ლოცვა აღევლინება. აქვე მოქმედებს ბიზანტიური ხატწერის სახელოსნო, ქარგვისა და ქსოვის უძველესი ხელოვნების შესწავლა, აგრეთვე სანთელ-საკმეველის წარმოება. მოქმედებს ბიზანტიური საეკლესიო სამუსიკო სკოლა, რომელიც აღიარებულია კულტურის სამინისტროს მიერ. მონასტრის მუზეუმში მონასტერში მცხოვრებ დედათა მიერ აღდგენილი თუ შესრულებული საეკლესიო სარიტუალო სამოსია დაცული.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ამ მონასტრის იბერიული წარმოშობით, ჩვენი მეცნიერები დაინტერესდებიან და თუკი ეს ტაძარი, მართლაც იბერიული წარმომავლობისაა, თაობებს ამ ისტორიულ საგანძურს არ დავუკარგავთ.

უცხოეთი

# დუნაიში თეთრი ციდან ევროები ცვიოდა

ლევან ხვედელიძე
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

ვენა საოცრებათა ქალაქია — აქ სასწაულები ხშირად ხდება. ასე იყო რამდენიმე დღის წინაც, როცა დუნაის 100 000 ევრო მოჰქონდა. ადამიანების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მდინარეში ევროები რომ დაინახეს. ზოგმა, ფულის მოპოვების გამო, თავი საფრთხეშიც ჩაიგდო — 15 გრადუსამდე გაყინულ წყალში გადახტა და ფულის შეგროვება დაიწყო. საბოლოოდ, მდინარეში გადამხტარი ხალხიც და კუპიურებიც, სამართალდამცავებმა „გადაარჩინეს“. საინფორმაციო საშუალებების მიერ მომზადებულ სიუჟეტებში კი ნათლად ჩანდა, რომ პოლიციელები ღიმილს ვერ იკავებდნენ, როცა 100 და 500-ევროიანებს, სარეცხის საშრობზე აშრობდნენ.

სიუჟეტები ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა გარკვეული არ იყო, საიდან აღმოჩნდა დუნაიში ამდენი ფული. მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ არც ერთი კუპიურა ყალბი არ იყო, პოლიცია რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდა. არკვევდნენ, 100 ათასი ევრო მოპარული იყო, ვინმე დააყაჩაღეს თუ სულიერად ავადმყოფმა რომელმაც მთელი თავისი ქონება წყალს გაატანა.

მდინარეში მოცურავე ფული ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა შენიშნა. მაშინვე პოლიციაში დარეკეს. პოლიციის მისვლამდე კი, როგორც მოგახსენეთ, წყალში არაერთი გამვლელი გადაეშვა თავით. პოლიციამ და მყვინთავებმა 100 ათასი ევრო დუნაიდან ამოიღეს. საქმეს ვენის კრიმინალური პოლიცია იძიებს. სამართალდამცავები დაინტერესდნენ გაუხსნელი საქმეებით, რომლებიც ბოლო წლებში, ავსტრიასა და ევროპაში, დიდი რაოდენობის თანხის გატაცებას ეხება. მოგვიანებით, ბურუსითმოცულ ამბავს, ფარდა რამდენიმე თვითმხილველმა ახადა — დავინახეთ. მდინარეში, მოხუცი მამაკაცი ევროებს რომ ყრიდაო.

ავსტრიის კანონმდებლობით, თუ მეპატრონე დაკარგულ (ამ შემთხვევაში, გადაყრილი) ნივთის დაბრუნებას მოინდომებს, 3 წლის განმავლობაში აქვს უფლება, დაუკავშირდეს დასუფთავების სამინისტროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა მპოვნელებს დარჩებათ.


Heute
KEIN MORGEN OHNE HEUTE Mo., 7.12.15 | Nr. 2822
DenizBank AG
Eröffnen Sie jetzt Ihr Sparbuch und Online Sparen Festgeld!
www.denizbank.at
Nebel ist zuerst ZACH
Doch später scheint dann die Sonne aufs Dach
3° – 9° – Seite 40

Hier trocknen 100.000 €
Rätsel um Geldschatz aus der Donau
Cool: Polizei hängte 500er auf Wäscheständer – S.16
Keine Fälscher-Werkstatt: Die Geldnoten wurden bei der „Wasserpolizei“ auch auf Tischen getrocknet.
Zweitnutzung für einen Wäscheständer: Hier trocknen 25.000 € auf.




Die 100er- und 500er-Scheine schwammen beim Wehr 1 im Wasser.
Die Beamten hängten das Geld zum Trocknen auf den Wäscheständer.

Virgilkapelle wieder offen

Sieben Jahre lang war die Kapelle unter dem Stephansplatz wegen Renovierungsarbeiten (um 300.000 €) geschlossen. Jetzt kann die Virgilkapelle wieder besichtigt werden – am Wochenende sogar bei kostenlosem Eintritt! Die Krypta (Bild) ist elf Meter hoch

Geldfund in Donau: „500er schauen aus wie meine ...“

Kriminal-Rätsel: Ermittler glauben, dass die über 100.000 Euro aus der Donau mit einer (internationalen) Straftat in Zusammenhang stehen. Kriminal-Tango: Immer mehr „Eigentümer“ melden sich.

Die Telefon-Leitungen der Wiener Polizei glühen. Das (Medien-)Interesse am „Donauschatz“ vom Wehr 1 ist enorm. Sogar aus den USA kommen Anrufe. Auch immer mehr „Eigentümer“ des Geldes melden sich – teils aus Spaß, teils ernst. „Die

Von Christine Ziechert

500er schauen genau aus wie meine“, witzelt einer auf der Facebook-Seite von heute.at. „Und meinen Wäscheständer habt ihr auch gefunden“, so ein anderer.

Die Ermittler indes rätseln. Die einzige Spur ist eine Banken-Banderole. Sie könnte Aufschluss darüber geben, woher das Geld stammt. „Wir gehen auf jeden Fall von einem Verbrechen aus“, erklärt Polizei-Sprecher Patrick Maierhofer. Alle Spuren (Fingerabdrücke etc.) wurden vom Wasser vernichtet. Nun prüft das Landeskriminalamt zig Fälle der letzten Jahre in Österreich und in Europa. Bleibt das ergebnislos, werden Nationalbank-Experten beigezogen

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 1 | | | 8 | | |
| | | 8 | | | | 5 | 3 | |
| 7 | | | | | | | 1 | 9 |
| | 7 | | 8 | | | | | |
| | 4 | | 6 | | 2 | | 7 | |
| | | | | | 3 | | 4 | |
| 4 | 1 | | | | | | | 6 |
| | 5 | 7 | | | | 2 | | |
| | | 6 | | | 5 | | | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | 7 | | | |
| 6 | | 4 | | 2 | 1 | | 7 | |
| | 5 | 3 | | 6 | | | | |
| | 4 | 8 | | | | | | 2 |
| 3 | | | | | | | | 6 |
| 1 | | | | | | 8 | 4 | |
| | | | | 1 | | 5 | 6 | |
| | 7 | | 6 | 4 | | 2 | | 1 |
| | | | 7 | | | | 8 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | | | | |
| | | 6 | 9 | | | 3 | | 2 |
| 3 | 2 | | | | | | | |
| | | 5 | | 7 | 3 | | 4 | |
| | 3 | 2 | | 5 | | 1 | 8 | |
| | 8 | | 4 | 1 | | 6 | | |
| | | | | | | | 7 | 1 |
| 8 | | 1 | | | 7 | 5 | | |
| | | | | | | | | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 1 | | 7 | | | 8 |
| | | 9 | | | | 2 | | |
| | | 5 | | 6 | | | 3 | |
| | 5 | | | | 2 | | | |
| | | | 9 | | 8 | | | |
| | | | 3 | | | | 7 | |
| | 1 | | | 8 | | 7 | | |
| | | 7 | | | | 4 | | |
| 3 | | | 5 | | 9 | | 6 | |

# ევროპელები ფსიქიკურად დაავადებულები არიან?



გერმანელი ფსიქოლოგების ბოლო გამოკვლევების თანახმად, ევროპის 160 მილიონზე მეტი მცხოვრები ფსიქიკურად დაავადებულია. ეს კი „ბებერი ევროპის“ მოსახლეობის თითქმის 40%-ია. დრეზდენელმა სოციოლოგიებმა ევროპელებში ყველაზე მეტად გარვცელებული ფსიქიკური დაავადებების ჩამონათვალი შეადგინეს. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ფსიქიკური აშლილობა უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია ნარკომანიისა და დეპრესიის ეპიდემიით, რაც კონტინენტის მცხოვრებთ უკვე მრავალი წელია უტევს. ევროკავშირის 30 ქვეყნის მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად გერმანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მათმა 40%-მა დაუყოვნებლივ უნდა მიაკითხოს ფსიქიატრს. როგორც აღმოჩნდა, ევროპელთა დაახლოებით 14%-ს გამუდმებული და ხშირად უსაფუძვლო შიშის გრძნობა აწუხებს. 7%-ზე მეტი ხანგრძლივ დეპრესიაში ვარდება და უძილობა სტანჯავს, დაახლოებით 4%-ს — ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულება. გარდა ამისა, 17- წლამდე ევროპელების 5% პირდაპირ ჭკუაზე იშლება მშობლებისა და თანატოლების მხიდან უყურადღებობის გამო. ხანდაზმულთა 30%-ს კი დემენცია — ასაკობრივი მეხსიერების დაკარგვა, ცხოვრებისადმი უინტერესობა და ჭკუასუსტობა სტანჯავს. სწალულები ასეთი არასახარბიელო შედეგების მიზეზად ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში სამედიცინო მომსახურების შედარებით დაბალ დონეს ასახელებენ. გარდა ამისა, ნერვულ ადამიანებსაც არ უნდათ აღიარონ, რომ ავად არიან. ფსიქიკურად დაავადებულ ევროპელთა მხოლოდ მესამედი დადის რეგულარულად ექიმთან.

# მეორედ გათხოვებას მოცდა აღარ დასჭირდება



იაპონიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 1898 წელს მიღებული კანონი, რომელიც განქორწინების შემდეგ ქალებს მეორე გათხოვებას 6 თვეზე ადრე უკრძალავს, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. სასამართლოში სარჩელი 2011 წელს ერთ-ერთმა იაპონელმა ქალბატონმა შეიტანა. ის ჩიოდა, რომ 2008 წელს, ქმართან ოჯახური ძალადობის გამო გაყრის შემდეგ, იძულებული იყო, ხელახლა გათხოვებისთვის ნახევარი წელი ეცადა, რამაც მისი უფლებები დაარღვია და ნეგატიურად აისახა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც. ასეთი კანონი განპირობებული იყო შესაძლო დაპირისპირების წარმოშობის გამო, თუკი ბავშვი განქორწინებიდან ექვსი თვის განმავლობაში გაჩნდებოდა. ასეთი ბავშვის მამად ხშირად ყოფილ ქმარს წერდნენ, ბიოლოგიურ მამას კი შვილად აყვანის პროცედურის გავლა უწევდა, რადგან ქალზე მალევე ვერ ქორწინდებოდა. კანონის გაუქმების მომხრეები ამბობენ, რომ ახლა ასეთი ვითარება გამორიცხულია, რადგან მამობის დასადგენად დნმ-ის ტესტები არსებობს.

# ყველაზე ძლიერი ყავა მსოფლიოში




ნიუ-იორკში მდებარე კომპანია Saratoga Coffee Traders-ის მფლობელმა მაიკ ბრაუნმა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ყავა მოამზადა. სხვადასხვა სახის მარცვლებისა და სხვადასხვანაირად მოხალვის მეთოდის კომბინირებით, მან შექმნა ყავა, სახელად Death Wish Coffee (უკანასკნელი სურვილის ყავა). ის ორჯერ მეტ კოფეინს შეიცავს, ვიდრე ჩვეულებრივი ესპრესო. ბრაუნის განცხადებით, კოფეინის მაღალი შემცველობა არ აისახება ყავის გემოსა და არომატზე — ის შეგიძლიათ უშაქროდ და ურძეოდ მიირთვათ, მას არ აქვს მწარე გემო. ყველაზე ძლიერი ყავის ერთი შეფუთვა დაახლოებით 20 გირვანქა სტერლინგი ღირს. ბრიტანელმა ექსპერტებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან კი ყველაზე გემრიელი ყავის ძირითადი ნიშნები დაასახელეს. ეს პროფესიონალი ბარისტას მიერ ახლადმოდუღებული ლატეა, რომლის ქაფზეც ყვავილია გამოსახული და ფაიფურის ფინჯანშია ჩამოსხმული.

# დეპუტატი ვრცელი გამოსვლისთვის დააჯარიმეს



პოლონეთის სეიმის დეპუტატი ოპოზიციიდან მიხალ შჩერბუ პარლამენტში გამოსვლისას დროს ლიმიტის გადაჭარბების გამო დააჯარიმეს. „სამოქალაქო პლატფორმის“ წარმომადგენელმა სეიმის სპიკერისგან საყვედური მიიღო ცხარე დებატების დროს, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევდნენ. ლიმიტის გადაჭარბებისთვის შჩერბუმ 2500 ზლოტი (600 ევრო) ჯარიმა უნდა გდაიხადოს. როგორც ამბობენ, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა პარლამენტის სპიკერმა დეპუტატის მიმართ ფინანსური სანქციები გამოიყენა.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 2 | 7 | 5 | 3 | 9 | 4 |
| 3 | 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 6 | 7 | 9 | 8 | 2 | 5 | 3 |
| 9 | 3 | 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 8 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 9 |
| 6 | 2 | 3 | 1 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 1 | 9 | 2 | 6 | 4 | 3 | 7 |
| 7 | 4 | 9 | 5 | 8 | 3 | 1 | 6 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 3 | 9 | 5 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 8 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 4 | 2 | 3 | 7 | 5 |
| 8 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 7 | 6 | 4 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 9 | 3 | 8 | 1 | 2 |
| 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 1 | 2 | 4 | 6 |
| 4 | 5 | 6 | 2 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 6 | 2 | 5 | 1 | 3 | 9 | 7 |
| 2 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 |
| 3 | 5 | 1 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 2 |
| 1 | 6 | 2 | 8 | 9 | 3 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 | 1 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 1 | 2 | 4 | 6 | 8 |
| 8 | 2 | 5 | 3 | 6 | 4 | 1 | 7 | 9 |
| 6 | 1 | 4 | 7 | 8 | 9 | 5 | 2 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 8 | 7 | 1 | 4 | 5 | 6 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 |
| 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 | 9 | 2 |
| 8 | 3 | 9 | 2 | 4 | 1 | 7 | 5 | 6 |
| 5 | 2 | 7 | 3 | 9 | 6 | 1 | 8 | 4 |
| 4 | 1 | 6 | 5 | 8 | 7 | 3 | 2 | 9 |
| 1 | 8 | 3 | 6 | 7 | 9 | 2 | 4 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 8 |
| 9 | 4 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 |

მე-12 გვერდი: 1. წურბელა; 2. ულტიმატუმი; 3. ბატერფლაი; 4. ლოსი; 5. ჭრებალო; 6. რომანი; 7. ბაზარი; 8. ლენა; 9. სტატუსი; 10. ომი; 11. ბოა; 12. კაპრიზი; 13. ამაზონი; 14. ოლქი; 15. იდეა; 16. ოსლო; 17. ბრომი; 18. სადილი; 19. ამფორა; 20. წნორი; 21. არადანი; 22. ეგერი; 23. წალამი; 24. „აიდა“; 25. ცინიზმი; 26. ოვაცია; 27. ატილა; 28. ამფიტრიტე; 29. ფაკირი; 30. არაგვი; 31. წიწიბურა; 32. ლიმონი; 33. მიაუ; 34. წამწამი; 35. დონორი; 36. ვარია; 37. იასპი 38. კარდიფი; 39. აზარტი; 40. ოში; 41. წამი; 42. დოდო; 43. ლია; 44. ბონა; 45. დაჩი; 46. ია; 47. დიახ; 48. დანი; 49. ფატა; 50. გუშინ; 51. დია; 52. რაინი; 53. გეა; 54. სანა; 55. „მინდია“; 56. საბზა; 57. ბახალა; 58. ადა; 59. აარონი; 60. სნო; 61. აიაჩო; 62. ყია.

„ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს მანანა უზუნაშვილის დედის გარდაცვალების გამო. ვუთანაგრძნობთ მის ოჯახს. ღმერთმა გაანათლოს მაყვალა უზუნაშვილის სული და დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი. ამინ!

მაყვალა უზუნაშვილს შაბათს, 26 დეკემბერს, 13:00 საათზე დაკრძალავენ, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში.

## დღეს წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღეა

25 დეკემბერს, მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა ჩატარდება. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საღმრთო ლიტურგიას 10:00 საათზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დაიწყებს.

წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ერეტიკოსებისგან ყოვლადწმინდა სამების ერთარსებობის დოგმატს იცავდა. მან სიცოცხლეშივე მრავალი სასწაული აღასრულა და დღესაც აღესრულება მისი წმინდა ნაწილებიდან კუნძულ კორფუსზე, მისივე სახელობის ტაძარში. იგი საბერძნეთის მფარველად ითვლება.

***„ინტერპრესნიუსი“***

## გართობა



1. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
2. ბანქოს კომბინაცია პოკერში
3. ბოშათა ბანაკი
4. ძველი ბრაზილიური კინოსერიალი
5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
6. ბელგიური სისტემის რევოლვერი
7. კუნძული პარიზში
8. შეწეული სტრიქონი
9. ფორმულა 1-ის ესპანელი მრბოლელი
10. ჩინური მაფია
11. შეჯიბრება იალქნიანი ნავებით
12. იდიშზე მოსაუბრე ებრაელები
13. სვეტის ფორმის ძეგლი
14. საყოფაცხოვრებო ტექნიკის ცნობილი ფირმა
15. ახლო აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფო
16. უცოდინარი, უმეცარი
17. კანი ფრჩხილის ირგვლივ
18. მდინარე გერმანიასა და ჰოლანდიაში
19. შეჯიბრება ავტომობილებით რბოლაში
20. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი
21. მკვახე ყურძენი
22. ესპანური კლუბი „... მადრიდი“
23. ოდისევსის მამა
24. ნატოს გენერალური მდივანი
25. ხატაეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
26. ხილეულის კანფეტის ნაირსახეობა
27. ქართული ხალხური სამსიმიანი საკრავი
28. ცნობილი ვამპირი გრაფი
29. ერთ-ერთი უმთავრესი ძველეგვიპტური ღვთაება
30. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
31. ამერიკელი მსახიობი მიკი ...
32. შეჯიბრების დაწყების მომენტი
33. უკულტურო სამხედრო პირი
34. მარადმწვანე ხე
35. ქონდარაშვილის ახული „სალამურას თავგადასავალში“
36. ეკლიანი ბალახი
37. ფიზიკური ანგარიშსწ. პოლიტიკური მოტივებით
38. ოჯახიდან წასული მამის გადასახადი
39. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
40. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
41. საგნის კონტური
42. ინგლ. ფეხბურთელი
43. ხორცის უძვლო ნაჭერი
44. ფრანგი მათემატიკოსი
45. ტაძარი ქუთაისში
46. პარაზიტი ბაქტერია
47. იაპონური ეროვნული სასულე ინსტრუმენტი
48. ტკბილი კარტოფილი
49. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
50. „ჭრიჭინას“ ერთ-ერთი ზებია
51. სულიერი მოძღვარი ბუდიზმში
52. ინგლისში გამოყვანილი ღორის ჯიში
53. ამერიკელი მსახიობი ... მერფი
54. შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში
55. „ვუალის“ ქართული შესატყვისი
56. სამი წერტილი კამათელზე
57. იტალიის ყოფილი ეროვნული ვალუტა
58. იტალიელი კინოვარსკვლავი
59. დანიის ადმინისტრაც.-ტერიტორიული ერთეული
60. მხარე, მიდამო
61. ქალაქ კულჯას მეორე სახელი
62. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
63. სურათი ზღვის ხედით
64. ბალეტის ერთ-ერთი საცეკვაო ფორმა
65. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
66. საოჯახო ელექტროხელსაწყო
67. შენობა ცხენების საწვრთნელად
68. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
69. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
70. „სევილიის“ მწვრთნელი ... ემერი
71. ორსახოვანი ღმერთი
72. მუსიკალური გამის I ნოტი
73. ტროას აღმომჩენი არქეოლოგი
74. იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
75. ავსტრალიური სირაქლემა
76. მდინარე რუსეთში
77. „ანა ფრანკის ...“
78. ტბა იტალიაში
79. უეცარი შიში
80. ფრანგი მწერალი ... დე მოპასანი
81. ხეობა კასპის რაიონში
82. შაქარმოყრილი სამკურნალო ტაბლეტი
83. გვარის მეთაური არაბულ ქვეყნებში
84. სოფელი ყაზბეგის რაიონში
85. ხელსაწყო, რომელშიც ამაგრ. საგანს დამუშავებისას
86. ჩინურ-იაპონური შაში
87. ძველრომაელთა მოსასხამი

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.